# ახალგაზრდა ივერიელი

1921 წლიდან

18 ივლისი ხუთშაბათი 1991 № 83 (11716)

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი — ფასი 10 კაპ.


ეროვნული ბიბლიოთეკა

## სრულიად საქართველოს ქაქუცა ჩოლოყაშვილის საზოგადოების განცხადება

ძვირფასო თანამოძმენო!

სულ მალე ქაქუცა ჩოლოყაშვილის მშობლიურ სოფელ მატანში ჩატარდება ეროვნული გმირის 103 წლისთავისადმი მიძღვნილი სახალხო დღესასწაული, რომელსაც დაესწრებიან ქაქუცა ჩოლოყაშვილის შთამომავალნი, ქაქუცა ჩოლოყაშვილის საზოგადოების წევრები, საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული მთავრობის წარმომადგენლები.

ამავე დღეს ეროვნულ გვარდიაში შექმნილი „ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის პოლკი" სოფ. მატანის ეკლესიის ეზო-გალავანში გამართავს საზეიმო აღლუმს და მიიღებს გვარდიელის ფიცს.

ვულოცავთ მთელს ქართველობას ამ ღირსშესანიშნავ დღეს და მოვუწოდებთ იმ ერთიანობისაკენ, რისთვისაც თავდადებულად იღვწოდა სულნათელი ქაქუცა ჩოლოყაშვილი.

ვიაროთ ღვთის გზით და ღმერთი ჩვენთან იქნება!

### როცა გაზეთი დასაბეჭდად მზად იყო

როგორც ტრადიციული სახალხო ზეიმის „ქაქუცობის" საორგანიზაციო კომიტეტიდან გვაცნობეს, „ქაქუცობა" 20 ივლისიდან გადატანილია 31 ივლისისათვის.

### საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა დანიშნა

— რევაზ ალექსანდრეს ძე ქონიაძე ხულოს რაიონის პრეფექტად.

— ვლადიმერ იორდანის ძე ინასარიძე ახალციხის რაიონის პრეფექტად.

— თამაზ დავითის ძე ახანიძე ხელვაჩაურის რაიონის პრეფექტის მოვალეობის შემსრულებლად.

## ქრონიკა, ინფორმაცია

გაიმართა კინოკორპორაციის სადირექტორო საბჭოს პირველი გაფართოებული სხდომა, რომლის დღის წესრიგში იყო კინოკომბინატის დირექტორის არჩევის საკითხი, სხდომას წარმართავდა კინოკორპორაციის პრეზიდენტი ბატონი **ზეზო ბუბუშვილი.**

კონკურსის შედეგად კინოკომბინატის დირექტორად არჩეულია ბატონი **პოლა ჭყონია**, რომელიც წლების განმავლობაში მუშაობდა „ქართული ფილმის" დირექტორის მოადგილედ.

●

16 ივლისს 00 საათსა და 45 წუთზე საქართველოს დედაქალაქის მცხოვრებლებმა იგრძნეს მიწისქვეშა ბიძგი. მისმა ძალამ, როგორც სეისმური ობსერვატორიის „თბილისის" თანამშრომლებმა გვაცნობეს, შეადგინა სამი ბალი.

მიწისძვრის ეპიცენტრი მდებარეობდა დაახლოებით 65-70 კილომეტრზე თბილისის სამხრეთ-დასავლეთით დმანისის რაიონში, სადაც დედამიწის ქერქის რყევამ ხუთი ბალი შეადგინა. მსხვერპლი და ნგრევა არ არის.

●

16 ივლისს თბილისში, რუსთაველის პროსპექტზე თითქმის მთლიანად დაიწვა მხატვრის სახლის მესამე სართული—ხანძრის წარმოშობის მიზეზი ჯერჯერობით უცნობია.



ხანძარი რუსთაველის პროსპექტზე.

საქინფორმის ფოტო

## საქართველოს ჰელსინკის კავშირის გამგეობის განცხადება

როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა, ხელახალ არჩევნებში მარტვილის № 96-ე საარჩევნო ოლქში დეპუტატობის კანდიდატად წარმოდგენილია სრულიად საქართველოს მიწათმოქმედთა კავშირის თავმჯდომარე როინ ლიპარტელიანი (იხ. გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელის" მიმდინარე წლის 9 ივლისის ნომერი — „სამშობლოს ერთგული შვილი").

ამ პუბლიკაციაში, ჩვენდა გასაოცრად, როინ ლიპარტელიანის ბიოგრაფიაში მოხსენიებულია, რომ იგი, თურმე, ერთ დროს ჰელსინკის კავშირის წევრი ყოფილა. საინტერესოა, რისთვის გაახსენდა ბატონ როინს ჰელსინკის კავშირი?

ჰელსინკის კავშირის გამგეობა უფლებამოსილია განაცხადოს, რომ რ. ლიპარტელიანს არასოდეს ჰქონია საერთო ჰელსინკის კავშირთან და მით უმეტეს არასოდეს ყოფილა ამ კავშირის წევრი. ჩვენ მის მოქმედებას ვაფასებთ, როგორც წინასაარჩევნო ხრიკებს, ხოლო მარტვილის რაიონის საზოგადოებას მივმართავთ თხოვნით: გაითვალისწინოს ეს განცხადება და არ აჰყვეს ამ იაფფასიან პოლიტიკურ სპეკულაციას.

**რედაქციისაგან:** პუბლიკაციას, რომელიც განცხადებაშია აღნიშნული, ხელს აწერენ **ბიძინა მელაძე, ამირან კალანდია, შალვა ჩაგუნავა, გივი ნვაზავა, გურამ ხოსელია, ტრისტან ხუციშვილი, ვაჟა ბუჯიაშვილი** და **ნაირა ვახტანგიშვილი.** ცხადია, ფაქტების გადამოწმების საშუალება არ გვქონია. თუ რატომ შეიყვანეს რედაქცია შეცდომაში, ამის შესახებ ავტორებისაგან ველით პასუხს.

### მიხეილ გორბაჩოვი ლონდონს ჩავიდა

ლონდონი, 17 ივლისი. (საკდესის სპეც. კორ.). სამშაბათს გვიან საღამოს მოსკოვიდან ლონდონში ჩამოვიდა სსრ კავშირის პრეზიდენტი მ. ს. გორბაჩოვი. ბრიტანეთის დედაქალაქში გაიმართება მისი შეხვედრა შვიდი წამყვანი ინდუსტრიული ქვეყნის ლიდერებთან.

### ჯეიმს ბეიკერი: „პრეზიდენტი გორბაჩოვი ხელცარიელი არ წავა ლონდონიდან"

ლონდონი, 17 ივლისი. (საკდესის სპეც. კორ. ს. სოსნოვსკი, ა. ფედიაშინი, ვ. ხრეკოვი). „მიხეილ გორბაჩოვი ხელცარიელი არ წავა ლონდონიდან" და მისი შეხვედრა ლონდონის „სამიტის" მონაწილეებთან შეიძლება მივიჩნიოთ როგორც „ნაბიჯი თანამოქმედების გზაზე, რომელიც გადაიჭრება შორს მომავალში". ეს სამშაბათს აქ განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ჯეიმს ბეიკერმა.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა განაცხადა, რომ „შვიდთა ჯგუფში" ყველა პარტნიორს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი „ყველაფერი იღონონ საბჭოთა კავშირში მიმდინარე ძალზე გაბედული რეფორმების დასახმარებლად.

### „დიდი შვიდეულის" შეხვედრაზე

ლონდონი. 17 ივლისი. (საკდესის სპეც. კორ. დ. ვოსკობოინიკოვი). აქ მიმდინარე „დიდი შვიდეულის" შეხვედრის ფარგლებში გამართულ მოლაპარაკებაზე ფორუმის მონაწილეებმა განიხილეს საბჭოთა ეკონომიკაში საქმის მდგომარეობის სხვადასხვა ასპექტი. მაგრამ საბჭოთა ეკონომიკაში სახელმწიფო ინვესტიციებზე ლაპარაკი არ ყოფილა. ეს საკდესის კორესპონდენტის კითხვის პასუხად განაცხადა დიდი ბრიტანეთის ფინანსთა მინისტრმა ნორმან ლემონტმა, რომელმაც სამშაბათს გამართა ბრიფინგი შეხვედრის პრესცენტრში.

მან გასაგებად თქვა, რომ წამყვანმა ინდუსტრიულმა ქვეყნებმა მოილაპარაკეს მხარი დაუჭირონ სსრ კავშირისათვის საერთაშორისო სავალუტო ფონდში და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკში ასოცირებული წევრის სტატუსის მინიჭებას, მაგრამ უარი თქვა ეპასუხა მეორე კითხვაზე იმის შესახებ, თუ რა როლს კისრულობენ „დიდი შვიდეულის" წევრი ქვეყნები სსრ კავშირში ეკონომიკური რეფორმებისათვის დახმარების გაწევის გეგმებში.

**7+1. ახეთია ლონდონის შეხვედრების მათემატიკური გამოხახულება, ხადაც 7 უდიდეხი და უმდიდრეხი ქვეყნის ხელმძღვანელებს შეფერადებული პოლიტიკური კონცეფციით წარუდგება ახევე უდიდეხი, მაგრამ ულატაკეხი ქვეყნის — ხხრკ-ხ პრეზიდენტი მიხეილ გორბაჩოვი, რათა მათ გამოხტყუოხ იხ დოლარები, რომლებხაც ახეთი რუდუნებით დახცინოდნენ ხაბჭოთა პოლიტიკოხები და ხატირიკოხები. მ. გორბაჩოვის „ვიზიტი" გრაფიკულად ახე გაიაზრა ჩვენმა მხატვარმა რომან ქარქუხაშვილმა.**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# პრეზიდენტის ღირსების დასაცავად

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების წინა დღეებში გამოქვეყნდა კანონი საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის პატივისა და ღირსების დაცვის შესახებ, რომელმაც გარკვეულ წრეებში მითქმა-მოთქმა გამოიწვია. კანონს უარყოფითად გამოეხმაურა სსრ კავშირის ცენტრალური პრესა. (იხ. მაგალითად, 2 ივნისის „მოსკოვსკიე ნოვოსტი", 12 ივნისის „იზვესტია"). ამ კანონის უდიერად მოხსენიების შემთხვევები დღემდე არ წყდება. აღნიშნულ კანონთან დაკავშირებულ საკითხებზე ჩვენს კორესპონდენტს ესაუბრა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვის კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ალექსანდრე შუშანაშვილი.**

**— საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის პატივისა და ღირსების დაცვის შესახებ კანონი უზენაესმა საბჭომ მიიღო 1991 წლის 28 მაისს, ე. ი. პრეზიდენტის არჩევნებამდე სამი დღით ადრე. რამ გამოიწვია ამ კანონის ასე სწრაფად მიღება და ხომ არ შეეძლო ამას ზეგავლენა მოეხდინა ამომრჩეველთა ნებაზე?**

— სასწრაფოდ კი არა, დავაგვიანეთ კიდეც. ეს კანონი უნდა მიგვეღო 1991 წლის 14 აპრილს, როცა ავირჩიეთ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი. სამწუხაროდ, ასეთი ლაფსუსები გვემართება და, ალბათ, მომავალშიც არ ვიქნებით დაზღვეული, თუ საქმეში არ ჩავაბით მაღალკვალიფიციური სპეციალისტები. რაც შეეხება საკითხის არსებით მხარეს, ყველა ცივილიზებულ სახელმწიფოში მიღებულია და მოქმედებს სახელმწიფოს მეთაურის პოლიტიკური და სამართლებრივი დაცვის სპეციალური მექანიზმი. ბევრგან კონსტიტუციის დონეზეა გადაწყვეტილი პრეზიდენტის ხელშეუხებლობის, ხელფასის, რეზიდენციის, პენსიისა და სოციალური უზრუნველყოფის სხვა საკითხები. ჩვენთან კი რესპუბლიკის ხელმძღვანელთან თუ სხვა გამოჩენილ პიროვნებასთან დაკავშირებული თითქმის ყველა საკითხი რატომღაც საეჭვო და სალაპარაკო უნდა გახდეს. თავის დროზე ნოე ჟორდანია ასეთი ჭორაობითა და მითქმა-მოთქმით იქამდე მიიყვანეს, რომ უარი თქვა პერსონალური ავტომანქანით სარგებლობაზე. ილია ჭავჭავაძე ხომ ლამის შეჭამეს, ეზოში წყალი რატომ გაქვს გაყვანილიო. არავის უკვირს სისხლის სამართლის კოდექსში სპეციალური მუხლი რომაა მილიციის მუშაკისა და სახალხო რაზმელის შეურაცხყოფისათვის პასუხისმგებლობის შესახებ. რესპუბლიკის პრეზიდენტის შეურაცხყოფისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაწესება კი ზოგიერთს უცბად მოხვდა თვალში და ამ ფაქტში რაღაც დიდი საფრთხე და პოლიტიკა დაინახა.

არჩევნების წინა დღეებში აღნიშნული კანონის მიღებას თუ რაიმე ზეგავლენის მოხდენა შეეძლო ამომრჩეველთა ნებაზე, მხოლოდ პრეზიდენტის საზიანოდ. სხვათა შორის, უზენაესი საბჭოს სესიაზე კანონპროექტის განხილვისას ამის თაობაზე საგანგებოდ აღნიშნეს დეპუტატებმა, მაგრამ ამ მოსალოდნელ უარყოფით შედეგს არც პრეზიდენტი მოერიდა და არც საბჭო.

**— ნუთუ ამ კანონის მიღებამდე პრეზიდენტის პატივისა და ღირსების ხელყოფისათვის პასუხს არავინ აგებდა?**

— პასუხს როგორ არ აგებდა, მაგრამ ამისათვის აუცილებელი იყო უშუალოდ პრეზიდენტს მიემართა სასამართლოსათვის. საერთო წესის თანახმად, შეურაცხყოფისა და ცილისწამების შესახებ საქმეები შეიძლება აღიძრას მხოლოდ დაზარალებულის საჩივრით და უნდა შეწყდეს, თუ იგი ბრალდებულს შეურიგდა. აბა, რომელი პრეზიდენტი იკადრებს ან სად სცალია ჩაებას ამ ორომტრიალში და სასამართლოში აგზავნოს განცხადებები ამანა და ამან შეურაცხყოფა მომაყენა და არიქა მიშველეთ, მიეცით პასუხისგებაშიო. ახალი კანონით კი პრეზიდენტის საჯარო შეურაცხყოფა ან მის მიმართ ცილისწამება წარმოადგენს მმართველობის წესის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს და საქმის წარმოების დაწყებისათვის პრეზიდენტის განცხადება და მისი პროცესში მონაწილეობა საჭირო არ არის.

**— პრეზიდენტის არჩევნების შესახებ კანონში მითითებულია, რომ იმ პირებს, რომლებიც აქვეყნებენ ან სხვა საშუალებით ავრცელებენ პრეზიდენტობის კანდიდატის პატივისა და ღირსების შემლახავ ცნობებს, ეკისრებათ კანონით დადგენილი პასუხისმგებლობა. ეს ნორმა, ალბათ, პრეზიდენტსაც ეხებოდა, იგი ხომ ერთდროულად პრეზიდენტიც იყო და პრეზიდენტობის კანდიდატიც.**

— ეს ნორმა არც პრეზიდენტს იცავდა და არც პრეზიდენტობის კანდიდატს. პრეზიდენტის არჩევნების შესახებ კანონის შემდგენელთ მხედველობიდან გამორჩათ, რომ აღნიშნული ნორმის უზრუნველსაყოფად და ასამუშავებლად სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილი უნდა ყოფილიყო შესაბამისი მუხლი, რომელიც დაადგენდა პასუხისმგებლობას პრეზიდენტობის კანდიდატის პატივისა და ღირსების ხელყოფისათვის.

აღნიშნული საკანონმდებლო ხარვეზებით წინასაარჩევნო პერიოდში განსაკუთრებით უხვად ისარგებლეს პრეზიდენტის მოწინააღმდეგეებმა, რამაც შეახსენა საკანონმდებლო ორგანოებს პრეზიდენტის პატივისა და ღირსების დაცვის შესახებ სპეციალური კანონის მიღების აუცილებლობა.

**— ახლა თვითონ კანონს დავუბრუნდეთ. იქნებ ერთი-ორი სიტყვით დაახასიათოთ და განმარტოთ მისი შინაარსი.**

— კანონი შედგება ორი ნაწილისაგან. პირველი ნაწილით სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა ახალი მუხლი, რომელიც ადგენს, რომ რესპუბლიკის პრეზიდენტის საჯარო შეურაცხყოფა ან მის მიმართ ცილისწამება ისჯება ჯარიმით სამი ათას მანეთამდე, ან გამასწორებელი სამუშაოებით ორ წლამდე, ან თავისუფლების აღკვეთით სამ წლამდე ვადით.

იგივე მოქმედება, ჩადენილი პრესის ან მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა გამოყენებით ისჯება გამასწორებელი სამუშაოებით ორ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ექვს წლამდე ვადით.

როგორც ვხედავთ, ახალი კანონი არ განმარტავს, თუ რას ნიშნავს შეურაცხყოფა ან ცილისწამება. ამ ცნებების სამართლებრივი შინაარსის დადგენისას უნდა ვიხელმძღვანელოთ სისხლის სამართლის კოდექსის იმ ნორმებით, რომლებიც ითვალისწინებენ პასუხისმგებლობას შეურაცხყოფისა და ცილისწამებისათვის.

საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლის შესაბამისად, ცილისწამება ნიშნავს შეგნებულად მონაჭორის გავრცელებას, რომელიც სახელს უტეხს სხვა პირს. ამ დანაშაულის შემადგენლობისათვის აუცილებელია, რომ გავრცელებული ცნობა იყოს მონაჭორი, არ შეესაბამებოდეს სინამდვილეს და ეს იცოდეს დამნაშავემ. დანაშაულს არ წარმოადგენს ისეთი ცნობის გავრცელება, რომელიც ნამდვილია ან პირმა სხვა წყაროდან გაიგო და ნამდვილად მიიჩნია. დანაშაულს არ წარმოადგენს აგრეთვე ისეთი მონაჭორის გავრცელება, რომელიც არ არის სახელის გამტეხი. მონაჭორის გავრცელება ნიშნავს მის შეტყობინებას თუნდაც ერთი პირისათვის. ამასთან, პირადად დაზარალებულისათვის მონაჭორის თქმა ცილისწამებას კი არ წარმოადგენს, არამედ შეურაცხყოფას, თუ, რასაკვირველია, არსებობს ამ დანაშაულის შემადგენლობის ყველა სხვა ნიშანიც. სახელის გამტეხია ისეთი მონაჭორის გავრცელება, რომელიც ვითომ მოხდა ან ამჟამად ხდება დაზარალებულის პირად თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში და რაც გასაკიცხი და მიუტევებელია საზოგადოებრივი მართლშეგნებისა და ზნეობის თვალსაზრისით. ცილისწამება დამთავრებულად ითვლება მონაჭორის გავრცელების მომენტიდან და მნიშვნელობა არა აქვს, მოჰყვა თუ არა მას რაიმე უარყოფითი შედეგი.

საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 138-ე მუხლში შეურაცხყოფა განმარტებულია როგორც პიროვნების პატივისა და ღირსების განზრახ დამცირება, გამოხატული უწესო ფორმით. პატივისა და ღირსების დამცირება წარმოადგენს პიროვნების უარყოფით შეფასებას საზოგადოების თვალში მისი პრესტიჟისა და ავტორიტეტის შელახვის მიზნით. ცილისწამებისაგან განსხვავებით, შეურაცხყოფის დროს კონკრეტული მონაჭორის გავრცელება კი არ ხდება, არამედ შეფასება ეძლევა საერთოდ პიროვნებას, მის თვისებებს, ქცევებს, გარეგნობას, და ა. შ. ამასთან მნიშვნელობა არა აქვს, ეს შეფასება შეეფერება სინამდვილეს თუ არა. მაგალითად, პიროვნების ფიზიკურ ნაკლზე მითითება შეურაცხყოფას წარმოადგენს, თუნდაც ეს ნაკლი ამ პიროვნებას მართლაც გააჩნდეს. შეურაცხყოფის შემადგენლობისათვის აუცილებელია, რომ პიროვნების პატივისა და ღირსების დამცირება მოხდეს უწესო ფორმით. ასეთია მაგალითად, შეგინება, სამარცხვინო მდგომარეობაში ჩაყენება და ა. შ. პიროვნების ცხოვრებისა და საქმიანობის ნაკლოვანებათა ობიექტური და სამართლიანი შეფასება, რასაკვირველია, დანაშაულს არ წარმოადგენს.

შეურაცხყოფისა და ცილისწამების საჯაროობა ნიშნავს ამ მოქმედებათა ჩადენას სხვა პირთა თანდასწრებით ან ისეთი ფორმით, რაც შემდგომში ხდება სხვებისათვის ცნობილი. შეურაცხყოფასა და ცილისწამებას თუ თან ერთვოდა საზოგადოებრივი წესრიგის უხეში დარღვევა და გამოხატავდა საზოგადოების აშკარა უპატივცემლობას, დამნაშავე ხულიგნობისათვისაც აგებს პასუხს.

შეურაცხყოფა და ცილისწამება, ჩადენილი პრესის ან მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა გამოყენებით, წარმოადგენს დანაშაულის შემადგენლობის კვალიფიციურ სახეს და მისი ჩამდენი პირი უფრო მკაცრად ისჯება. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებია გაზეთები, ჟურნალები, ტელე და რადიოპროგრამები, კინოდოკუმენტალისტიკა, საჯაროდ გავრცელებული ნაბეჭდი, აუდიო და აუდიოვიზუალური ცნობები, მასალები და სხვა ერთჯერადი თუ, პერიოდული გამოცემები.

კანონის მეორე ნაწილი ადგენს მასობრივი ინფორმაციის იმ საშუალების პასუხისმგებლობას, რომელმაც, გამოაქვეყნა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის შეურაცხმყოფელი ან მის მიმართ ცილისწამების შემცველი მასალა. პირველ შემთხვევაში მასობრივი ინფორმაციის საშუალებას ეკისრება ჯარიმა ოცდახუთიათას მანეთამდე ოდენობით, ხოლო განმეორების შემთხვევაში შეიძლება საერთოდ შეწყდეს მისი საქმიანობა. ამ კატეგორიის საქმეებს განიხილავს სასამართლო სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. ჯარიმის სახით გადახდილი თანხა ჩაირიცხება სახელმწიფო შემოსავალში.

**— კანონის ეს მეორე ნაწილი ხომ არ ზღუდავს სიტყვის თავისუფლებას?**

— სიტყვის თავისუფლება არ ნიშნავს განუკითხაობასა და თვითნებობას, საზოგადოებაში მოქმედი სამართლებრივი და ეთიკური ნორმებისადმი აგდებულ დამოკიდებულებას. სიტყვის თავისუფლების ბოროტად გამოყენება, სინამდვილის შეუფერებელი ცნობების გავრცელება, რომლებიც ბღალავენ პიროვნების პატივსა და ღირსებას, ყველა დემოკრატიულ სახელმწიფოში იკრძალება და იდევნება სასამართლოს წესით. პრესის საშუალებით შელახული პატივისა და ღირსების დაცვის უფლება ჩვენი კანონმდებლობისათვისაც არ არის უცხო. საქართველოს რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის თანახმად, მოქალაქეს ან ორგანიზაციას უფლება აქვს მოითხოვოს სასამართლოს საშუალებით მისი პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების უარყოფა. პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობები თუ გავრცელებულია პრესაში და სინამდვილეს არ შეეფერება, მათი უარყოფა პრესის საშუალებითვე უნდა მოხდეს. უარყოფის წესს ადგენს სასამართლო. თუ სასამართლოს გადაწყვეტილება არ შესრულდა, სასამართლოს უფლება აქვს დააჯარიმოს დამრღვევი. ჯარიმის გადახდა არ ათავისუფლებს პრესის ორგანოს სასამართლოს გადაწყვეტილებით გათვალისწინებული მოქმედების შესრულების მოვალეობისაგან.

**— ახალი კანონი ვინმეს ხომ არ აუქმრავს ამ დანაშაულის ჩადენის სურვილს, ხო არ ქმნის ერთგვარ ცდუნებას. ასეთი საქმეები ხომ ფართო დ ხმაურ ბა და თავის გამოჩენის დიდ შესაძლებლობა ძლევა.**

— ახალი კანონი ვის რა სურვილს აღუძრავს, ძნელი სათქმელია. ისე კი, სასურველია, ამ კანონს ჰქონდეს მხოლოდ გამაფრთხილებელი მნიშვნელობა, საერთოდ არ გახდეს საჭირო მისი პრაქტიკული გამოყენება. პრეზიდენტის ღირსების შელახვა კი არის, სახელმწიფოს ღირსების შელახვაა, და, არა მგონია, ასეთი მოქმედებით ვინმემ სახელი გაითქვას და დიდების გვირგვინი დაიდგას. შარლ დე გოლის პრეზიდენტობის პერიოდში პრეზიდენტის შეურაცხყოფისათვის სასამართლო წესით 117 კაცი დაისაჯა, მაგრამ ოქროს ასოებით არც ერთი მათგანის სახელი არ ჩაწერილა საფრანგეთის ისტორიაში. პრეზიდენტის ცხოვრებითა და საქმიანობით უკმაყოფილება ყველას შეუძლია გამოთქვას და გამოხატოს კანონიერი ფორმებითა და საშუალებებით. პრეზიდენტის მიმართ ბილწსიტყვაობა და ჭორაობა კი არც ვაჟკაცობად ჩაეთვლება ვინმეს და არც ერისა და ქვეყნის ინტერესებს წაადგება სასიკეთოდ.

**— და, ბოლოს, სსრ კავშირის ცენტრალური პრესის გამოხმაურებაზე ხომ არ იტყოდით რამეს?**

— რა უნდა ვთქვა, ასეთი რამ პირველი ხომ არ არის. ცენტრალური პრესა და მისი პატრონები სხვა უფრო მზაკვრულ მეთოდებს არ მიმართავდნენ, თორემ ასეთი გამოხტომების მოგერიება არაა ძნელი, ვინ არ მიხვდება მათ უსამართლობასა და უსუსურობას. სსრ კავშირის უზენაესმა საბჭომ სსრ კავშირის პრეზიდენტის არჩევისთანავე, თუკი მას არჩევნები შეიძლება ეწოდოს, მიიღო სპეციალური კანონი პრეზიდენტის პატივისა და ღირსების დაცვის შესახებ, რომელიც თითქმის არაფრით არ განსხვავდება ჩვენი კანონისაგან. ცენტრალური პრესა დიდი მოწონებით შეხვდა ამ კანონს, როგორც საპრეზიდენტო ხელისუფლების აუცილებელ ატრიბუტს. აი, ჩვენი კანონი კი თურმე არ ყოფილა საჭირო, არ განსაზღვრავს შეურაცხყოფის კრიტერიუმებს, განსაკუთრებულ მდგომარეობაში აყენებს პრეზიდენტს და ა. შ. ასეთ აშკარა, წინასწარ დაგეგმილ სიცრუესა და სიყალბეზე სერიოზული მსჯელობაც კი უხერხულია.

ესაუბრა **მერაბ დავითიძე.**

---

## „გამსვლელი ქულაა" ცოდნა

17 ივლისს მისაღები გამოცდები დაიწყო უმაღლეს სასწავლებლებში. რესპუბლიკის აბიტურიენტები ჩაებნენ დაძაბულ მარათონში სტუდენტად გახდომის უფლებისათვის. უმაღლესი სასწავლებლები, რომლებიც ორიენტაციას იღებენ ბაზრის ეკონომიკაზე, გადასინჯავენ მიდგომებს როგორც სწავლების პროცესისადმი, ისე მომავალი აღსაზრდელების შერჩევისადმიც. აბსოლუტურად ყველა შეღავათი გაუქმებულია. ერთადერთი კრიტერიუმია ცოდნა. მისაღები კომისიების შემადგენლობები განახლებულია. მათ განახორციელეს ღონისძიებანი გამოცდების ობიექტური მიმდინარეობის უზრუნველსაყოფად.

საქინფორმი

---

## სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას სახელობის ეროვნულ-რადიკალური პარტიის დეკლარაცია

1991 წლის 12 ივლისს ჩატარდა იატაკქვეშა ეროვნულ-რადიკალური პარტიის დაარსების ოთხი წლისთავი, რომლის დამაარსებელი და ხელმძღვანელი იყო ეროვნული გმირი მერაბ კოსტავა.

კონფერენციაზე გადაწყდა, რომ ამ პარტიას მიენიჭოს მერაბ კოსტავას სახელი და ამიერიდან იწოდებოდეს: სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას სახელობის ეროვნულ-რადიკალურ პარტიად.

საქართველოში არსებული პოლიტიკური სიტუაციის გათვალისწინებით და იმის გამოც, რომ 1991 წლის 8 ივნისს, გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელში" ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო გამოვაქვეყნეთ წერილი, რომლის საშუალებით ცნობილი გახდა ეროვნულ-რადიკალური პარტიის იატაკქვეშ არსებობა, კონფერენციამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ შეწყვიტოს არალეგალური არსებობა და ლეგალურ მდგომარეობაში მიიღოს მონაწილეობა საქართველოს ინტერესებიდან გამომდინარე პოლიტიკური საკითხების გადაწყვეტაში.

**სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას სახელობის ეროვნულ-რადიკალური პარტიის მთავარი კომიტეტი.**

---

### გასწორება

ჩვენი გაზეთის 9 ივლისის ნომერში წერილში „საჭირო და აუცილებელი წიგნი" გაპარულია მექანიკური უზუსტობა. მე-4 აბზაცში უნდა ეწეროს: „საუნივერსიტეტო რუსულ ენაზე გამოცემულ სახელმძღვანელოში ცენტრალური ამერიკა არ განიხილება ჩრდილოეთ ამერიკის ფარგლებში. ზოგიერთი ავტორი მას განიხილავს სამხრეთ ამერიკასთან ერთად, რაც, ალბათ, გამართლებულია მხოლოდ პოლიტიკური და სოციალური გეოგრაფიის ასპექტში განხილვისას. გ. მარგველანი ცენტრალურ ამერიკას, რომელიც ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტის მთლიანი და უწყვეტი სხეულის ფარგლებში შედის, სამართლიანად განიხილავს მასთან, როგორც მის განუყოფელ და ორგანულ ნაწილს".

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გამოხმაურება

# ზოგჯერ თქმა სჯობს, მაგრამ როგორ?

როდესაც გაზეთის ფურცლებზე გამოგვაქვს საარქივო მასალა (თანაც ფრიად სოლიდური პიროვნების არქივიდან), იგულისხმება, რომ ამ მასალამ რაღაც მნიშვნელოვანი როლი უნდა ითამაშოს რაიმე სადღეისო საჭირბოროტო საკითხის პოზიტიურად გადაწყვეტაში. სამწუხაროდ, ეს შთაბეჭდილება არ დატოვა გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელის“ 1991 წლის 11 ივლისის ნომერში გამოქვეყნებულმა ქალბატონ ირინე ტალიაშვილის წერილმა „დეპუტატის არქივიდან“, რომელსაც წინ უძღვის პატარა სადღეისო შესავალი.

იქნებ იმიტომ, რომ წერილი ორი წლის წინათ ყოფილა დაწერილი, მაგრამ სადღეისოდ მაინც ვერ აჟღერდა. წერილი როგორღაც ორსახოვანია. ერთი ხოტბას ასხამს უნივერსიტეტს ზოგადად, მეორე კი საკმაოდ აგრესიულად უტევს მას ფრიად საეჭვო ღირებულების „ფაქტების“ მოშველიებით.

მთელი წერილი აგებულია 1989 წლის მისაღებ გამოცდებზე ხელმოცარული და, ადამიანურად გასაგებია, გაბრაზებული ახალგაზრდების ერთი ჯგუფის მიერ გამოთქმულ პრეტენზიებზე. ამან ესა თქვა, იმან ეს. ეს კომისია ცუდია, ის უარესი და ა. შ. მოტანილია ლოზუნგებიც, რომლებიც მაშინ გამოფინეს გულისწყრომის გამოსახატავად და მანკიერების დასაგმობად. კეთილი და პატიოსანი, მაგრამ ეს საქმის მხოლოდ ერთი მხარეა. სურათის სისრულისათვის მივხედოთ სხვა რიგის ფაქტებსაც. ლოზუნგს „მიეცი ნიჭსა გზა ფართო“-ს პირველ (და საკმაოდ მალე ჩამოხსნილ) ვარიანტს მიწერილი ჰქონდა „აკაკი“. მგონია, მეტყველი დეტალია, თუმცა მერე უარყოფდნენ.

რაღაც სპეციალურ საიდუმლო ჯგუფზეა ლაპარაკი. ნუთუ წერილის ავტორს მართლა სჯერა, რომ ის ავადსახსენებელი „სლიპინა მაფია“ (რომელიც მართლა არსებობს), ისეთი პრიმიტიულია, რომ თავის ბნელ საქმეს ასე აშკარად გააკეთებს და სალაპარაკოს მისცემს ვინმეს? ნუ იქნებით გულუბრყვილო: მაფია ასე უხეშად არ მუშაობს. იმ ჯგუფში (თუ მართლა იყო ასეთი), ალბათ, მომაკვდინებელი არაფერი ხდებოდა.

ეტყობა, არც ის გაუმხილეს „გაფიცულებმა“, რა უთხრა მათ სულმნათმა მერაბ კოსტავამ, როდესაც გაეცნო მათ ულტიმატუმს. ეს კი ადვილად გაირკვეოდა სურვილის შემთხვევაში. გავიხსენოთ თუნდაც ძველი რომაული დამოძღვრა: მოვუსმინოთ მეორე მხარესაცო.

დღეს პრესაში დეფიციტური გახდა დინჯი, საქმის, ცოდნისა და ობიექტურობის პასუხისმგებლობის გრძნობით დაწერილი კრიტიკული წერილი. სამაგიეროდ მოზღვავდა ანგარიშსწორების ჟინით გაჟღენთილი უხეში ლანძღვა, მიზანში ამოღებული პიროვნების შეურაცხყოფა, დაუმტკიცებელი ბრალდებების წამოყენება. სხვა სხვის ომში ბრძენიაო. ვის როგორ ჰგონია, რას მოითხოვს ამ დროს მომჩივანთა დიდი უმრავლესობა? რაიმის გარკვევას? არა, ბატონო. მოთხოვნა ერთია — ჩემს შვილს ნიშანი უსამართლოდ დააკლეს და აუწიეთო. ეს არის ნებისმიერი საჩივრის თავი და ბოლო და ნეტავი თუ შეიძლება იყოს ხელმძღვანელი, რომელიც ყველას დააკმაყოფილებს. ეს შეუძლებელია. მაშასადამე, უკმაყოფილო მაინც დარჩება ვიღაც. აბსტრაქტულად ბევრს ვლაპარაკობთ პრინციპულობასა და ჰუმანიზმზე. მაგრამ, აი, ერთი დამახასიათებელი მაგალითი. ერთი უპატრონო ბავშვთა სახლში აღზრდილისათვის გვინდოდა ნიშნის აწევა, თანაც საჯაროდ. მაგრამ ერთი მშობელი (ისიც ჰუმანიტარული დარგის წარმომადგენელი) აბობოქრდა: რა ჩემი საქმეა, ვინ სად გაიზარდა. თუ მაგას აუწევთ, ჩემსასაც აუწიეთ, თორემ ციმბირი აქეთ დაგრჩებათო. მე პირადად ციმბირის იქითაც ვყოფილვარ და აქეთაც, მაგრამ მეორედ მოგზაურობა მაინც აღარ ვისურვე. აბა რა მექნა? ამას იმიტომ ვამბობ, რომ არც მომჩივანთა ბანაკი შედგება მხოლოდ იობის ბატკნებისაგან. პრეტენზიების განხილვის დროს უცბად ჩაასწორებს შეცდომას და იქვე წაგედავება — აქ წითელი ხაზი რატომ არისო. იყო ასეთი შემთხვევებიც, როდესაც საჩვენებლად მიღებულ ნაწერს მალავდნენ და მერე აქეთ დაობდნენ, რა უყავით ჩემი ნამუშევარიო. ვინმე იტყვის, ასეთი რამ იშვიათად ხდებაო. მოპარვა — კი, ცდა — არცთუ ისე იშვიათად.

ასეთია სამწუხარო რეალობა.

წერილში სამართლიანი გულისწყრომაა გამოხატული მაფიის თავგასულობის თაობაზე, ოღონდაც ისიც უნდა გავითვალისწინოთ, არც მაფიაა ცალსახა და ხშირად დაჩაგრულის ნიღაბსაც კარგად ირგებს. მისი ერთი საცეცი თუ საგამოცდო კომისიაში დაძვრება, მეორე „ბარიკადის“ მეორე მხარეს იკლაკნება. აი ერთი მაგალითი. ერთმა გაანჩხლებულმა ქალბატონმა, თურმე რომელიღაც ტექნიკუმის დირექტორმა, რომელმაც თავის შვილს წითელი დიპლომი მისცა და უნივერსიტეტშიც თითქოს „ჩააწყო“ საქმე, ცა ჩამოგვანგრია თავზე იმის გამო, რომ კომისიის ერთმა „ქართველობადაკარგულმა“ (იმ ქალბატონის შეფასებაა!) წევრმა არ დაუწერა სრულიად მოუმზადებელ ახალგაზრდას მაღალი ნიშანი და ამით „შეარცხვინა დედა შვილის წინაშე“, რომელსაც უკვე ჰქონდა ორი ხუთიანი მიღებული. რა ვიფიქროთ, რომელ ბანაკში მოვათავსოთ ეს ქალბატონი — მაფიისა თუ მისი მსხვერპლისა?

მაფიაზე რომ ვლაპარაკობთ, ჩვეულებრივად ვგულისხმობთ დიდი ფულის ხარჯვას. მაგრამ ეს ყოველთვის ასე არ არის. მაფიაში, ბატონო, ჭკვიანი და ენერგიული ხალხია და სათავისოდ კარგად იყენებს არა მარტო მოსყიდვას, რამედ ცილისწამებასაც, ადამიანურ გულუბრყვილობასაც, შანტაჟსაც, პირფერობასაც და ზოგჯერ ნათესაობისა და მეგობრობის კეთილ ტრადიციებსაც. ხშირად ისინი დიდ მიზანს აღწევენ კაპიკის გაუღებლად სხვისი ხელით ისე, რომ მათ დამხმარეს წარმოდგენაც არა აქვს, ვის საქმეს აკეთებს სინამდვილეში. და ასეთ ჩახლართულ სიტუაციაში ძნელი გასაგები არ უნდა იყოს, ვის წისქვილზე ასხამს წყალს უნივერსიტეტის ან საერთოდ უმაღლესი სასწავლებლის სახელის გატეხა და მათი კორუფციისა და მანკიერების ციტადელებად გამოცხადება, ვის აძლევს ხელს იმ მორალის დამკვიდრება, რომ დიდი ხარჯის გაღების და ენერგიული შუამავლის გარეშე უმაღლესში შესვლას ვერავინ ვერ ეღირსება. აქ, შეიძლება, ვინმემ მიკიჟინოს: თუ გესმის, ვის აფარებ ხელსაო. არა, ბატონებო. მე ხელს არავის ვაფარებ. მე ვამტკიცებ, რომ ბოროტება ყოველთვის კონკრეტულია და მასთან ბრძოლაც კონკრეტული უნდა იყოს და არა რაღაც ზოგადი, ლოზუნგის მსგავსი. ბოროტებას ლოზუნგების არ ეშინია. უფრო მეტიც — თუ დასჭირდა, პირველი და ყველაზე ხმამაღლა წამოიძახებს პროგრესულ მოწოდებას, თვალის დახამხამებაში გადააგდებს ერთ მანდატსა და დაჩოქილი ეამბორება მეორეს. მერე მიდი და გაბედე მასთან კამათი. ეს მე ვიცი არა ყურმოკრულად. ამიტომ ლამაზ ილუზიებს მე ვამჯობინებ მკაცრ რეალიზმს. უმსგავსობის მეტი რა იყო და რა არის ჩვენს ცხოვრებაში. მაგრამ თუ ყველას მანკიერების მთესველად და მატარებლად ჩავთვლით, მაშინ ვის იმედზე ვრჩებით? ან ვისი ხელით ვაპირებთ კეთილი საქმის გაკეთებას ან ვისთვის გვინდა იგი?

თბილისის უნივერსიტეტი დღესაც ქართველი ხალხის წმინდა ტაძარია და მისი ხელაღებით შერისხვა არავის შემატებს სახელს. გეთანხმებით — მის სარდაფებში შესეულ ვირთხებს მხოლოდ დარიშხანით უნდა გავუსმასპინძლდეთ, მაგრამ რას ვერჩით პატიოსან ადამიანებს, რომლებიც წარმოადგენენ უნივერსიტეტის სახელსა და სახეს? პარადოქსია პირდაპირ: ვისაც ყველაზე მეტად უნდა ვიცავდეთ, სწორედ ის აღმოჩნდა ყველაზე დაუცავი და უსუსური, მიუსაფარი, მას ერთნაირი გამძვინვარებით უტევს ყველა. რა ხდება? რა წრე იკვრება? წელს, სხვათა შორის, ასეთმა ტენდენციამ იჩინა თავი: მაღალკვალიფიციური და კეთილი ზნეობის მქონე სპეციალისტები ყოველნაირად არიდებენ თავს მისაღებ გამოცდებში მონაწილეობას, თუმცა არც იმას მალავენ, რომ მათ ლატაკურ ბიუჯეტს ზედმეტი არ მოუვიდოდა უმადურ და მონურ შრომაში აღებული გასამრჯელო. რატომ ამბობენ უარს? პასუხი პირდაპირია: გაიძვერა ყოველთვის დაიძვრენს თავს, ჩვენი გალანძღვისა და დამცირების უფლება კი დღეს ყველასა აქვს, ხოლო ჩვენი სიმართლის დაცვისათვის ხმის ამოღებას ერთნი ვერ ბედავენ, მეორენი მხოლოდ საკუთარი საზრუნავებით არიან დაკავებულნიო. ესეც რეალობაა.

კარგად გააზრებული და საქმიანი კრიტიკის ნაცვლად ხელაღებული ლანძღვის მოძალებაც მიმაჩნია იმის ერთ-ერთ მიზეზად, რომ დიდი ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტს ნამეტანი შეაჩვიეს ბოროტი სიტყვა და ბოროტი ხელი, იოლად აიგივებენ მის სახელთან სხვადასხვა ჯურის ნაძირალებს. მერე ყველაფერი ეს ბუმერანგივით უბრუნდება საზოგადოებას და გვიკვირს, საიდან მოდის ამდენი ცინიზმი, უნდობლობა და ურთიერთგაუგებლობა. ხომ არ ვემსგავსებით იმ კაცს, სხვისთვის რომ ორმო გათხარა და თვითონ ჩავარდა?

ამიტომ ნუ წავაქეზებთ, ნუ გავაღვივებთ ქვენა გრძნობებს, ნუ ვუბიძგებთ ისედაც ნერვებგაშიშვლებულ ადამიანებს მოუზომელი საქციელისაკენ, თუნდაც პირადად ჩვენ ეს მოგვწონდეს რატომღაც. წინააღმდეგ შემთხვევაში მოგებული დარჩება ისევ ის ბნელი ძალა, რომლის წინააღმდეგაც ასე უშედეგოდ ვიბრძვით.

და კიდევ ერთი რამ. არქივიდან ამოღებულ წერილში საქმე ისეა წარმოდგენილი, თითქოს რუსული ენა, როგორც საგამოცდო საგანი, ვიღაცამ საგანგებოდ და მზაკვრულად გამოიყენა „სოფლიდან ჩამოსული ახალგაზრდების“ დასაჩაგრავად (იმ წელიწადს საგნობრივი კომისიის თავმჯდომარე გახლდით).

რა არის ეს — მართლა მზაკვრობა თუ გულუბრყვილობა ან საკონკურსო მექანიზმის უსასტიკესი ბუნების სრული არცოდნა? რუსული ენა ერთ-ერთი საგამოცდო საგანია და მეტი არაფერი. იმ წელს ეს საგანი ბევრმა სოფლელმა წარმატებით ჩააბარა, ხოლო — ჩაჭრილთა შორის ქალაქელებიც იყვნენ. მოკლედ — ვინც სწავლობდა, მან გამოცდასაც გაუძლო. განა სხვა საგნებში არ დაიწერა ორიანები? მაშ რა მზაკვრობას ვეძებთ? რაც შეეხება საგამოცდო საგნების ნუსხას, არც საგნობრივი კომისიის შედგენილია იგი და არც ერთპიროვნულად რექტორის მიერ. საგანგებოდ ვიღაცის „ჩაჭრის“ ბრალდება აბსურდია. მაგრამ არის მკაცრი რეალობა: ერთ ადგილზე რომ ათი-თხუთმეტი პრეტენდენტია (ესეც დიდი აბსურდია!), ზოგს იმედი გაუცრუვდება და ამაში ნუ დავანაშაულებთ რომელიმე საგანს, თუნდაც რუსულ ენას. მისი ცოდნის სიკეთით ხომ ყველა სარგებლობს. მაშ რატომ ვცდილობთ შევაძულოთ იგი ახალგაზრდობას? ნუთუ ვინმე სერიოზულად ფიქრობს, რომ მომავალ იურისტს ან, ვთქვათ, ფილოლოგს არ დასჭირდება ამ ენის ცოდნა? ნუთუ სპეციალისტის ენობრივი განათლება აღარ არის მისი პროფესიული კვალიფიკაციის კომპონენტი? ან იქნებ იმავე სოფლის სკოლაში ინგლისურს რუსულზე უკეთესად ასწავლიან? ნეტავ არიან მორწმუნენი. მგონი გერმანული ანდაზაა: ბოროტმა მეზობელმა რომ აგური გესროლოს, ამაში ნურც აგურს დაადანაშაულებ და ნურც ძალაყინით დაიწყებ აგურების ამოყრას საკუთარი სახლის კედლებიდანო.

ჩვენ ისედაც ძვირად გვიჯდება წლების მანძილზე დამკვიდრებული უსაქმურობისა და უვიცობის კულტი, რომელიც ჩვენმა მტრებმა ლამის არის ჩვენს ეროვნულ თვისებად გამოაცხადონ. დიდი ხანია ვიცით ამ მახინჯი მოვლენების წყაროები და ფესვები. ხომ არ დადგა დრო, ჩვენი პოლიტიკური განათლების მანიფესტაციიდან პროზაული საქმის კეთებაზე გადავიდეთ ყველა ჩვენთაგანი და იგივე მოვთხოვოთ სხვასაც. მოსწავლის ძირითადი საქმე კი სწავლაა, ცოდნის შეძენაა. ამ შეგნების კულტი გვჭირდება დღეს ყველაზე მეტად და არა დაჩაგრულთა პოზით ტკბობა.

მე პირადად ძალიან მომეწონა ამ დღეებში ტელეეკრანიდან მოსმენილი ბატონ თემურ ქორიძის ნათქვამი, რომ აბიტურიენტმა ცოდნა უნდა გამოავლინოს გამოცდებზე და არავითარი მიტინგების, შიმშილობისა და დროშების ფრიალის იმედი არ უნდა ჰქონდესო. მაშ რატომ ვუბიძგებთ ახალგაზრდობას ამ გზებისაკენ. დღეს ეს ხომ ანაქრონიზმია. ყველაფერს ხომ თავისი დრო და ლოგიკა აქვს.

ბოროტებას უნდა ვებრძოლოთ უკომპრომისოდ. ოღონდაც ისე, რომ ახალ ბოროტებას არ მივცეთ ბიძგი.

**პროფ. გიორგი წიბახაშვილი**

# ეროვნული გმირის სახელობის პოლკში

საქართველოს ეროვნული გმირის, სულნათელი ქაქუცა ჩოლოყაშვილის დაბადების 103 წლის თავზე, 14 ივლისს, საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ გვარდიაში არსებულ „ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის პოლკს“, რომელიც შეიქმნა საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამთავრობო კომისიის თავმჯდომარის, ეროვნული გვარდიის სარდლის ბატონ თენგიზ კიტოვანისა და ქაქუცა ჩოლოყაშვილის საზოგადოების გამგეობის ყოფილი წევრის, „ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის პოლკის“ მეთაურის ბატონ ტარიელ აბუაშვილის თაოსნობითა და რუდუნებით, სტუმრებად ეწვივნენ ქაქუცა ჩოლოყაშვილის პირდაპირი შთამომავლები, ბატონები გური ხუნწარია და დათო კილაძე, ქაქუცა ჩოლოყაშვილის საზოგადოების ხელმძღვანელი ბატონი სოსო ჯაჯანიძე და საზოგადოების გამგეობის წევრი ნიკო გიორგაძე.

სტუმრები აღფრთოვანებული დარჩნენ პოლკში არსებული სამხედრო დისციპლინით, პოლკის ოფიცერთა მაღალი პროფესიონალიზმით, ახალწვეულ ქართველ მეომართა საბრძოლო შემართებითა და მამულიშვილური მოვალეობის მტკიცე შეგნებით, პოლკის ტერიტორიაზე არსებული წესრიგით. ეს, უპირველეს ყოვლისა, პოლკის მეთაურის ბატონ ტარიელ აბუაშვილის დამსახურებაა. მეთაურს არც ოფიცრები და ჯარისკაცები ჩამორჩებიან, მათ მშვენივრად ესმით, თუ ვის სახელს ატარებენ და ეამაყებათ კიდეც ეს დიდი პატივი. თამამად შეიძლება ითქვას, რომ პოლკი სანიმუშოა.

მიუხედავად იმისა, რომ ღვთისგან ბოძებული დასვენების დღე გახლდათ (კვირა), პოლკის მეთაურმა, ქაქუცა ჩოლოყაშვილის დაბადების დღესთან დაკავშირებით საზეიმო შეკრება ბრძანა.

საზეიმო შეკრებაზე პოლკის წინაშე მისალოცი სიტყვით გამოვიდნენ: პოლკის მეთაური ბატონი ტარიელ აბუაშვილი, ქაქუცა ჩოლოყაშვილის საზოგადოების თავმჯდომარე ბატონი სოსო ჯაჯანიძე, ქაქუცა ჩოლოყაშვილის შვილთაშვილი ბატონი გური ხუნწარია, რის შემდეგაც ჩატარდა საზეიმო აღლუმი. სამხედრო მწყობრით მოარული მეომრები ომახიანი „ვაშას“ გრიალით მიესალმნენ ეროვნული გმირის დაბადების დღეს.

ღმერთმა გვიმრავლოს მსგავსი სამხედრო ფორმირებები და წმინდა გიორგი ჰფარავდეს და მიუძღოდეს სრულიად საქართველოს ეროვნულ გვარდიას.

**ქაქუცა ჩოლოყაშვილის საზოგადოების პრეს-ცენტრი**

## იანა გაბაშვილი საჭიროებს მკურნალობას

ქ. თბილისის ჩუღურეთის რაიონის 36-ე საშ. სკოლის III კლასის მოსწავლეს იანა ვალერის ასულ გაბაშვილს აქვს მძიმე დაავადება — რევმატოიდული ართრიტი და საჭიროებს ხანგრძლივ მკურნალობას გერმანიაში.

მის სახელზე საქართველოს რესპუბლიკის საგარეო ურთიერთობათა ბანკში გახსნილია ანგარიში **№ 90440042. კოდი (მფ 00-8052 27).**

გთხოვთ პატარა იანას აღმოუჩინოთ მატერიალური დახმარება. მისი ტელეფონის ნომერია 96-00-51.

იანასადმი გამოჩენილი ყურადღებისათვის წინასწარ გიხდით მადლობას.

# ბოროტსა სძლია კეთილმან...

### რამდენიმე ცნობა ბიოგრაფიიდან

დაიბადა 1948 წელს ჩხოროწყუში, მრავალშვილიანი გლეხის ოჯახში.

1966 წელს აქვე დაამთავრა საშუალო სკოლა. მუშაობდა კოლმეურნეობაში. 1976 წელს ჩაირიცხა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში აგრონომიულ ფაკულტეტზე.

მუშაობდა თბილისის გამწვანების ტრესტში, შემდეგ ბუნების დაცვის კომიტეტში წამყვან აგრონომად.

1982 წლიდან ოჯახით საცხოვრებლად გადავიდა მარნეულის რაიონში, სადაც ჯერ სოფლის მეურნეობის განყოფილების ინსტრუქტორად, ხოლო შემდეგ მარნეულის აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარის მოადგილედ მუშაობდა. 1985 წლიდან წერეთლის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი იყო. 1991 წლის მარტში აირჩიეს ჩხოროწყუს რაიონის პრეფექტად.

**პრეფექტი: მაშინვე ვიცოდი, რა დიდი პასუხისმგებლობა დამეკისრა, მაგრამ ნდობამ, მშობლიური კუთხის ერთგულებამ, რაღაც უჩვეულო ძალა, ხიამაყე, ენერგია შემმატა** — გვითხრა საუბრისას ბატონმა ვალერიმ, — **მიზეზთა და მიზეზთა ... ხანია რაიონიდან წას... ვი, მაგრამ მე აქ დავიბადე, გავიზარდე, აქ დავვაჟკაცდი, აქაურობის ყველა კუთხე-კუნჭული ვიცი, აქაა ჩემი ფუძე, დედა, ძმები, მამის და წინაპრების საფლავები. ბავშვობის ადგილებს დავუბრუნდი, ლუგელას ხეობას ავუყევი. რა გულმოსაკლავი სანახავია. აქაურობა წლების განმავლობაში ათასი ვაი პატრონის არაგულისხმიერებას გაუჩეხ-გაუკაფია, ხე-ტყე გაუზიდიათ, ისე, რომ რაიონს არაფერი წასდგომია. არა და, ჩხოროწყუ საქართველოში ტყით მდიდარ რაიონად იყო ცნობილი. თუ ასე გაგრძელდა, აქაური წიფელი, წაბლი, მუხა, ნეკერჩხალი, ცაცხვი და მთის წიწვოვანი ტყეები მოგონებებში შემოგვრჩება მხოლოდ. ამიტომ სასწრაფო ზომებია მისაღები ტყის უკანონო გამნადგურებელთა ალსაკვეთად.**

**მე შორსა ვარ იმ აზრიდან, როცა რაიონის ახალი ხელმძღვანელები ხელისუფლების დაწყებას ქალაქში ლამპიონების შეცვლითა და გაზონების გალამაზებით იწყებდა. ეს ადვილად თვალშისაცემი კოსმეტიკური ცვლილებები თითქოს იოლად იგებდა ხალხის გულს, მაგრამ ეს მოჩვენებითი კმაყოფილება იყო. რაიონი ყოველწლიურად ათასობით ტონა ჩაის, რძეს, ხორცს, კარაქს, დაფნას, თაფლს, ხილს, ათასგვარ კონსერვს აწარმოებს. (ყოველწლიურად რაიონში საშუალოდ 30 მილიონ მანეთზე მეტი ლირებულების სოფლის მეურნეობის პროდუქცია იწარმოება), მაგრამ რა? წარსულში ეგრეთწოდებული ...**

ერთი წლის წინათ ჩვენს გაზეთში გამოქვეყნდა წერილი — „ვის ვუმღვრევთ წყალს?" შეგახსენებთ, საუბარი იყო მარნეულის რაიონის სოფელ წერეთლის მეურნეობაში გაჭიანურებული კონფლიქტის გამო, მაშინდელი რაიონის ე. წ. ფუნქციონერები შეთხზულ მიზეზთა გამო, მეურნეობის დირექტორს, ვალერი გაბელიას, სამსახურის დატოვებას სთავაზობდნენ. მეურნეობის მუშები კი თავად გვეწვივნენ რედაქციაში და დახმარება გვთხოვეს, — ჩვენ ღირსეული კაცი გვიდგას სათავეში და ჩვენი სოფლიდან წასვლას ვერავინ აიძულებსო. მერე მეურნეობაში თავად ჩავედი, მუშებსაც შევხვდი, გამაოცა ერთსულოვნებამ და თანადგომის სურვილმა. სწორედ ამ განწყობილებით იყო ნასაზრდოები მაშინდელი პუბლიკაციაც, მაგრამ გამოგიტყდებით, ამის გამო კონფლიქტმა ჩვენს რედაქციაში გა...ინაცვლა, საქმე იქამდე მივიდა, რომ სამწუხაროდ, ...ოლეგებიც კი (ჟურნალისტები) ერთმანეთს დაგვაპირისპირა. არაობიექტურობა, ზერელობაც დაგვწამეს. ხელმეორედ ვეწვიეთ რაიონს. შთაბეჭდილება თითქმის იგივე იყო, ოღონდ ფუნქციონერთა ბანაკიდან წამოსული ფრაზა უცნაურად მოგვეჩვენა. გაბელია აქაური კაცი არაა და აქ რა უნდაო. გაგვაოცა ნათქვამმა, საქართველოში ქართველს ვინ გაუნაწილა სამოღვაწეო ასპარეზი? მაგრამ, როგორც მოგვიანებით შევიტყვეთ, წერეთლის მეურნეობა დირექტორმა მაინც დატოვა და სხვა სამუშაოზე დედაქალაქში გადავიდა.

ჩვენ არ ვაპირებთ ამ საგაზეთო წერილით პიროვნების რეაბილიტაციას, მაგრამ დამერწმუნებით, რა სასიხარულოა, როცა სამართალი გზას არ დაჰკარგავს, როცა სიმართლე გაიმარჯვებს, როცა ბოროტს კეთილი დათრგუნავს.

●

ექვსიოდე თვის წინათ ჩხოროწყუს რაიონის მოსახლეობასთან წინასაარჩევნო შეხვედრისას, მაშინ პრეფექტის ერთ-ერთმა კანდიდატმა, ვალერი გაბელიამ, განაცხადა, რომ საკუთარ კანდიდატურას უსიტყვოდ მოხსნიდა, ... სხვა კანდიდატებიც ... ს მისცა.



... დგინა. ტექნიკური ხაზი მსოფლიო სტანდარტების დონეზეა გამართული და მთლიანად უპასუხებს თანამედროვე მოთხოვნებს. ფაბრიკა დღეისათვის მთლიანად მექანიზებულია. თუ მუშებს გამოელაპარაკებით, კმაყოფილებით იტყვიან, რომ ახლახანს ფაბრიკის ხელმძღვანელების ინიციატივით, ურთიერთხელშეკრულების საფუძველზე, დონეცკიდან 20 ტ. შაქარი შემოიტანეს და მხოლოდ ამ ფაბრიკის თანამშრომლებზე გაანაწილეს. აგვისტოს თვეში კი, კვლავ გაცვლითი ოპერაციებით აპირებენ კოლმეურნეობის შაქრით მომარაგებას.

**პრეფექტი: რაიონის ეკონომიკური მდგომარეობის ძირითადი განმსაზღვრელი ... ჩაის წარმოებაა. ახლახანს ... ში ჩაის ყველაზე დიდ მომხმარებელთან — ინგლისთან დავდეთ ხელშეკრულება. პერსპექტივები და იმედები დიდია. წელს გადავწყვიტეთ წარმოებული ჩაის ორი მესამედი ჩვენ თვითონ დავაფასოთ. მომავალში კი ასი პროცენტი აქვე უნდა დახარისხდეს და რაიონიდან მხოლოდ მზა პროდუქცია გავიტანოთ. ამით გაიზრდება რაიონის ბიუჯეტი, ზამთარში მუშახელის დასაქმების პრობლემაც გადაწყდება. ჩვენ დოვლათს ჩვენვე უნდა მოვუაროთ და ვუპატრონოთ.**

●

ჩხოროწყუს რაიონი მინერალური და წყაროს წყლების უზარმაზარი რეზერვია. ლუგელას ხეობაში დღემდე ილვრება ძვირფასი შემადგენლობის სამკურნალო წყლები. ჯერ კიდევ ამ საუკუნის დასაწყისში ზუგდიდელ კომერსანტს პლატონ ქარდავას შემწეობით ლუგელას წყალი იტალიელ კომერსანტს რომში ჩაუტანია. ანალიზის შედეგად დაუდასტურებიათ, რომ აღნიშნულ წყალში 9,6% ქლორ-კალციუმი შედიოდა. უფრო გვიან, ქიმიკოს კუპნისის გამოკვლევით ამ მინერალურ წყალში გარდა ქლორ-კალციუმისა, აღმოჩნდა იოდი, კალიუმი, ნატრიუმი და რკინა.

**პრეფექტი: ლუგელას ხეობა არის ჯანმრთელობის ერთ-ერთი შესანიშნავი კერა, მაგრამ დღემდე ყველაფერი მოუვლელია. სამკურნალო წყლების დებეტი დღე-ღამეში 40 ათას ლიტრს აღწევს. ახლახანს, მოვიწვიეთ იტალიელი სპეციალისტები. დაინტერესდნენ. ურთიერთხელშეკრულების საფუძველზე შემოგვთავაზეს ხეობამდე კეთილმოწყობილი გზის გაყვანა, მაგრამ ჩვენ აქაც ფრთხილად უნდა ვიყვეთ, ჩვენი დოვლათი ჯერ ჩვენ უნდა მოვიხმაროთ და ალებ-მიცემობის წყაროდ არ უნდა ვაქციოთ. ამჟამად მეზობელი რაიონის წალენჯიხის კურორტ „სქურის" მინერალური წყლების ქარხანაში ავტოცისტერნებით ჩააქვთ „ლუგელა" და იქ ასხამენ. უახლოეს დროში ლუგელას ხეობას ჩვენი რაიონის სახით სრული პატრონი ეყოლება. ვფიქრობთ, ლუგელა ქართული ფარმაკოლოგიის კარგი ბაზა იქნება — შესაძლებელია დამზადდეს საინექციო კალცი, ექსპერტების დასკვნით აღნიშნული წყალი სასარგებლოა ღრძილების, კუჭისა და ნაწლავების, კანის სნეულებით დაავადებულთა, მხედველობა დაქვეითებულთათვის. ასევე გამოსადეგია ის პარფიუმერული წარმოებისთვის. სულ მალე რაიონს ჩვენი მოწვევით „ლუგელით" დაინტერესებული ისრაელის წარმომადგენლები ესტუმრებიან.**

**ახლახანს ერაყიდან ჩამოსულ სოფლის მეურნეობის მუშაკებს ვუმასპინძლეთ, რომლებიც დაინ-...**

ხავეკურს, ყალაჩინოს კლასტოკარსტული მღვიმეები. სოფელ მუხურში ახლახანს აღმოჩნდა კარსტული მღვიმე შურუბუმუ. როგორც ამბობენ, სიდიდითა და სილამაზით ახალი ათონის მღვიმეს იგი ბევრად სჯობს. პატარა ტბები, წლობით ნაკვეთი სტალაქტიტები და სტალაგმიტები მომავალში მნახველთა აღფრთოვანებას გვპირდება.

●

ჩხოროწყუსკენ დაბრუნებულმა გზად სოფელ მუხურში გამოვიარეთ, ადრე ბევრი რამ მსმენოდა მუხურის ფუტკარზე, მაგრამ მეფუტკრეობის საჯიშე მეურნეობაში ოთხმოცს მიტანებულმა ხარიტონ სორდიამ იმდენი მიამბო, რომ ერთი მშვენიერი ნარკვევიც შეიძლებოდა დაწერილიყო. ხარიტონ სორდიამ 1936 წელს დაამთავრა ლენინგრადის ზოოტექნიკური ინსტიტუტი, მაგრამ სამეგრელოში დაბრუნებული ჭაბუკი მამასთან ერთად გაუყენეს შორეული აღმოსავლეთის გზას. 1950 წლიდან კი ამ მეურნეობაში მუშაობს.

**ხარიტონ სორდია** — საქართველოში მეფუტკრეობის საჯიშე მეურნეობა სულ ხუთია: ყვარელში, სოხუმში, სამტრედიაში, ხარაგაულსა და მუხურში. ყველაზე სახელგანთქმული კი მუხურის — ქართული რუხი ფუტკრის მთის მეგრული პოპულაციაა, რადგან მუხურის ფუტკარი ყველაზე გრძელხორთუმიანია მსოფლიოში. მსგავსი ჯიში სხვაგან არც კავკასიაში გვხვდება. ჩვენი მეურნეობა 1934 წელს ჩამოყალიბდა. 1941 წელს დროებით შეწყვიტა მუშაობა. 1948 წლიდან კი ისევ ფუნქციონირებს. ამ 50 წლის მანძილზე ...



●

რაიონულ ცენტრში მხარეთმცოდნეობის მუზეუმშიც შევიარეთ. საკუთარი ძალებით სულ რამდენიმე წლის წინ მხატვარ გურამ მალანიას მოუწყვია. საგამოფენო დარბაზები, ჩხოროწყუს ტერიტორიაზე არქეოლოგიურ გათხრებში ნაპოვნი ნივთებიც მისი ინიციატივით მოუძიებია და შეუკრებია. ყველაფერს გულისხმიერი, მშობლიურ კუთხეზე შეყვარებული კაცის ხელი ატყვია. ერთ-ერთ სტენდზე 1899 წლის გაზეთ „ივერიის" 152-ე ნომერი გამოუფენიათ, რომელიც გვამცნობს, რომ, სოფელ ლესიჭინეში (ზუგდიდის მაზრა) არსებობდა აბრეშუმის საფეიქრო, რომელიც 1960 წელს ადგილობრივ მცხოვრებ ბასა სიჭინავას გაუმართავს. ამ საფეიქროში ყოველ წლობით ახვევდა 70-80 ფუთამდე აბრეშუმს და გზავნიდა საზღვარგარეთ განსაკუთრებით მარსელსა და ლიონში. ეს იყო პირველი საბრეშუმეო ფაბრიკა მთელ ქუთაისის გუბერნიაში".

**პრეფექტი: მეაბრეშუმეობა რაიონში ისევ უნდა აღორძინდეს. ხაამისოდ გამოთავისუფლებულ ნაკვეთებზე თუთები უნდა დავრგოთ. ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ, რათა ქართულ აბრეშუმს დაკარგული დიდება დავუბრუნოთ და ამ საქმეში ჩვენმა რაიონმა გაბედული სიტყვა უნდა თქვას.**

●

რაიონის კულტურის სახლთან ხალხმრავლობაა. ეს-ესაა რეპეტიცია მორჩა. სახალხო თეატრში ვალერიან გუნიას დრამა „და-ძმა" იდგმება. თეატრის სპონსორია ...



... სურველ ნაყოფს. ამიტომ...

შევქმნათ ატმოსფერო, არ ვათქმევინოთ მავანთ და მავანთ „ჩხოროწყუ ნიჭის სასაფლაოა და უნიჭოთა სასპარეზო!...

**პრეფექტი: ჩვენი რაიონიდან ბევრი სახელოვანი ადამიანი მარტო რაიონის კი არა, რესპუბლიკის გარეთ მოღვაწეობს.**

**რეალობას მოკლებული იქნება იმაზე ლაპარაკი, რომ ყველა აქ დავსაქმოთ, რაღაც უჩვეულო კარგი პირობები შევთავაზოთ, მაგრამ ნიჭიერები, მოაზროვნეები უნდა აღვზარდოთ და მომავალში აუცილებლად დავიბრუნოთ. ახალგაზრდა სპეციალისტთა დასაქმების პრობლემის გადასაჭრელად ახლახანს პრეფექტურამ ბრძანება გასცა, საპენსიო ასაკის მოსამსახურეებს მადლობა გადავუხადოთ ღვაწლისთვის და ხელშეკრულებო ვადა აღარ გავუგრძელოთ. გზა ახლა ახალგაზრდებს უნდა დავუთმოთ. არც ერთი სპეციალისტი არ უნდა დაგვრჩეს უსაქმებელი.**

●

ჩემი სამდღიანი მივლინება ამოიწურა. წამოსასვლელად ვემზადებოდი. რაიონის ცენტრში რამდენიმე სატვირთო მანქანა გაჩერდა. აღმოჩნდა, ბოსტნეული — ხახვი, კარტოფილი, ნიორი, კომბოსტო ჩამოეტანათ მარნეულის რაიონიდან.

როგორც აღმოჩნდა, ეს პირველი არაა, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე მარნეულის მეურნეობები პერიოდულად აგზავნიან ჩხოროწყუში სოფლის მეურნეობის პროდუქტებს და ალბათ მიხვდებით, ეს პრეფექტის დამსახურებაა.

**პრეფექტი: მე დღემდე არ გამიწყვეტია მარნეულთან კავშირი. რაც ჭარბი აქვთ, გვიგზავნიან, რასაც ჩვენ ვაწარმოებთ აქედან ვაწვდით. მე ჩემს ხალხს, მს თანამოსაქმეებს ვცემ პატივს. რომლებმაც ...**



# ჭეშმარიტი პროფესიონალიზმით აღბეჭდილი

გამომცემლობა „მერანის" საექსპოზიციო დარბაზში საქართველოს ხუროთმოძღვართა კავშირის რესპუბლიკური გაერთიანება „საქარქპროექტის" თაოსნობით მოეწყო არქიტექტორ ალექსანდრე ჯაფარიძის პერსონალური გამოფენა.

ხუროთმოძღვართა წრეში კარგად იცნობენ მის არქიტექტურულ ნამუშევრებს, მაგრამ, როგორც მხატვარი, იგი პირველად წარსდგა კოლეგებისა და ფართო საზოგადოების წინაშე.

ვერნისაჟზე ბევრი ითქვა ხელოვანის ნიჭსა და პიროვნულ ღირსებაზე, პედაგოგიურ ღვაწლზე.



ალექსანდრე ჯაფარიძე საქართველოს კარიბჭესთან, მდინარე ფსოუსთან აღმართული ობელისკის ავტორია; მისი პროექტით აშენდა 48 ბინიანი საცხოვრებელი სახლი ქალაქ სოჭში; იგია თბილისის პირველი საერთაშორისო არქიტექტურული ბიენალეს ერთ-ერთი სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი; მისი ხელმძღვანელობით თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტთა ერთ ჯგუფს არქიტექტორთა საერთაშორისო ასოციაციის მიერ მოწყობილ კონკურსში, საცხოვრებელი მასივის დაპროექტებისათვის გადაეცა მთავარი ჯილდო — ეგრეთწოდებული „პარიზის პრემია"; საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს ლაურეატობა კი ვიეტნამში ჰუაბინის ჰიდროკვანძის საცხოვრებელი დასახლების დაპროექტებისა და მშენებლობისათვის მიენიჭა. კ. მარჯანიშვილის სახელობის დრამატული თეატრის შენობის პროექტირებისათვის საკავშირო კონკურსზე არქიტექტორ ოთარ ნახუცრიშვილთან ერთად პირველი პრემია დაიმსახურა. ბატონი ალექსანდრე საერთაშორისო თეატრალური საზოგადოების მიერ შვეციაში მოწყობილი საგასტროლო თეატრის პროექტის საერთაშორისო კონკურსის ლაურეატიც გახლავთ.

ვერნისაჟზე ერთხმად აღინიშნა, რომ ნიჭიერი არქიტექტორი, შესანიშნავი მხატვარ-გრაფიკოსიც ყოფილა. მართლაც არავის დასტოვებს გულგრილს დახვეწილი გემოვნებით შექმნილი გრაფიკული ნამუშევრები.

საქართველოს სახალხო მხატვარმა კოკა იგნატოვმა ასეთი შეფასება მისცა ალექსანდრე ჯაფარიძის ნამუშევრებს: „ქართულ აქტიტექტურაში არსებობს ტრადიცია, ყველა არქიტექტორი ხატავს და საკმაოდ კარგად, მაგრამ დღევანდელი ექსპოზიცია ჭეშმარიტი პროფესიონალი მხატვრის გამოფენაა ყველა მისი კომპონენტით. ეს არის უმაღლესი ხარისხის თანამედროვე გრაფიკა თავისი შინარსით, კომპოზიციური ხედვით. საინტერესოა, რომ თითქმის ყველა სიუჟეტი დაკავშირებულია ისევ მის საყვარელ პროფესიასთან — არქიტექტურასთან საოცრად მიგნებულადაა გახსნილი არქიტექტურაში ადამიანის მოტივი".

ნაირგვარია ალექსანდრე ჯაფარიძის ნამუშევრები — ზოგჯერ ტრაგიკული, ზოგჯერ კი იუმორით შეზავებული, ოპტიმისტური, მაგრამ ყველა ნახატში ჩანს ავტორის ნათელი დიდი გული და დიდი კულტურა.

**ლელა შენგელია**





**სურათებზე: ალექსანდრე ჯაფარიძის ნამუშევრები.**

ოლეგ გველესიანის ფოტო

# ლამაზი, საჭირო საღამო

ამას წინათ მეგობარმა კომპოზიტორმა ნიკოლოზ გუდიაშვილმა კომპოზიტორთა კავშირის მუსიკალურ სალონში მიმიწვია. დარბაზში კომპოზიტორები, მუსიკათმცოდნეები, მწერლები, ექიმები, ინჟინრები, პედაგოგები, ახალგაზრდები ისხდნენ. საღამოც დაიწყო. იგი გახსნა კომპოზიტორმა მზია დიაკვნიშვილმა, რომელმაც შეკრებილთ აუწყა, რომ კომპოზიტორთა კავშირის გადაწყვეტილებით ამიერიდან კომპოზიტორთა კავშირის სალონში სისტემატურად ჩატარდება კონცერტი — შეხვედრები კომპოზიტორებთან. ეს იქნება შინაურული საავტორო საღამოები, ან. კონცერტი — ანგარიშები, ახალი ნაწარმოებების გამოტანა კოლეგებისა და მეგობრების სამსჯავროზე.

მუსიკალური სალონის გახსნის ბედნიერება ხვდა ცნობილ ქართველ კომპოზიტორს ვაჟა აზარაშვილს. ეს ვფიქრობ, კანონზომიერიცაა, რადგანაც ბატონ ვაჟას მუსიკამ დიდი ხანია ფესვები გაიდგა ქართველი ხალხის გულში.

არც კონცერტი-შეხვედრა იყო გამონაკლისი. ამ დღეს ბატონმა ვაჟამ წარმოადგინა კამერული და საესტრადო მუსიკა და დიდი მოწონებაც დაიმსახურა.

კონცერტზე იყო ძველი, პოპულარული სიმღერებიც და შედგა სიმღერის პრემიერებიც. ასრულებდნენ მომღერლები: თამრიკო გვერდწითელი, მზია დავითაშვილი და ნატალია ჩაგანავა (კონცერტმეისტერი ირინა სხირტლაძე), მერაბ დონაძე და თავად ბატონი ვაჟა, საღამოზე მონაწილეობდნენ მედეა ფანიაშვილისა და მედეა ალთუნაშვილის დუეტი, ტელევიზიისა და რადიოს დეპარტამენტის სიმებიანი კვარტეტი. ლევან ჩხეიძემ და მედეა ალთუნაშვილმა შეასრულა კომპოზიტორის ახალი სავიოლინო პიესა, ხოლო მზია დავითაშვილმა ახალი პატრიოტული სიმღერა „ლოცვა".

იქნებ არც ღირდა ერთი კონცერტ-შეხვედრის საჯაროდ გამოტანა, მაგრამ რაკი იგი პირველი იყო და, წამოწყებასაც კარგი პირი უჩანს, ქართველ კომპოზიტორებს უნდა ვუსურვოთ ხშირად გაახარონ ქართველი მუსიკის მოყვარულნი ახალი ნაწარმოებებით.

**მამია ჩორგოლაშვილი**

**ჰონორარი გადაირიცხოს ნიკორწმინდის ფონდში.**

ქველმოქმედება

# სოხუმში, მხოლოდ ერთი დღით

ამ სიტყვებით უხმობდა საკონცერტო აფიშა საესტრადო სიმღერის მოყვარულთ სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის ქართულ დრამატულ თეატრში. ამას წინათ კომერციული ფირმა „ეროლის" (დირექტორი ამირან როგავა) ინიციატივით აქ გაიმართა საქველმოქმედო კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს სახალხო არტისტები მედეა ძიძიგური, ვაჟა აზარაშვილი, საქართველოს დამსახურებული არტისტები თათია ხაინდრავა, თამარ გვერდწითელი, მერაბ დონაძე, სატირისა და იუმორის საერთაშორისო კონკურსის ლაურეატები ირინე ირემაშვილი და გურამ გეგეჭკორი, მომღერლები მაია ჯაბუა, თემურ თათარაშვილი, ლელა სიხარულიძე, ნინო ქემაშვილი. ვოკალური ტრიო „თბილისი".

ფირმა „ეროლის" ამ კონცერტის ჩასატარებლად ყოველნაირი დახმარება აღმოუჩინა საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დირექტორმა ბარამ ბარამიძემ.

საქველმოქმედო ღონისძიება, რომლის რეჟისორიც იყო საქართველოს დამსახურებული არტისტი რევაზ მირცხულავა, სრული ანშლაგით ჩატარდა.

ერთდღიანმა კონცერტმა სოხუმში დიდი გამოხმაურება ჰპოვა. გამოითქვა სურვილი, მსგავსი საღამოების ჩატარების შესახებ.

ეს, ალბათ ძნელი არ იქნება, რადგან მრავალდარგოვანი ფირმა „ეროლი", რომელიც მხოლოდ ოთხი კაცითაა დაკომპლექტებული და საქმეებს ჩინებულად აგვარებს, სხვებთან ერთად, პირველ რიგში კი იმასთან ერთად, ვისაც ეს უშუალოდ ეხება, კვლავაც აპირებს მსგავსი ღონისძიებების მოწყობას. რაც შეეხება ამ კონცერტის მთელ შემოსავალს 16 ათას მანეთს, იგი მთლიანად გადაირიცხა მიწისძვრით დაზარალებულთა დახმარების ფონდში.

**სვეტლანა კვიკვინია,**

**გაზეთ „აფხაზეთის ხმის" კორესპონდენტი.**

# მისი ოცნებაა დაუკრას შოპენი

**ქუთაისის** ოპერისა და ბალეტის თეატრი გიწვევთ სიმფონიური ორკესტრის კონცერტზე. სოლისტი ნინო დანელია. აუწყებდა ქუთაისის საზოგადოებას ლამაზად გაფორმებული აფიშები.

კონცერტზე დასასწრებად მოსულთა შორის 10-12 წლის გოგონები და ბიჭუნებიც მრავლად იყვნენ. დაკვირვებული თვალი უთუოდ მიხვდებოდა, რომ კონცერტში მათი თანატოლი მონაწილეობდა.

და მართლაც რიგითი მონაწილე კი არა, სოლისტი გახლდათ 10 წლის ნინო დანელია.

აი, რას ამბობს თეატრის სიმფონიური ორკესტრის დირიჟორი — ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე თენგიზ ჭუმბურიძე: ნინო საოცრად შეყვარებულია მუსიკაზე. იმდენად დიდია ეს სიყვარული, რომ საკმაოდ რთულ ნაწარმოებსაც ეჭიდება. თუ როგორ შეასრულა მოცარტის ცნობილი „ალაქისი-მინორი. „რონდო" რე-მაჟორი „ფანტაზია" რე-მინორი და სხვა, ეს თვითონ მოისმინეთ. ერთი სული მაქვს როდის დაუკრავს შოპენს...

მჯერა — ერევა საუბარში გოგონას მუსიკის მასწავლებელი ნინო ზვიადაძე, სულ მალე ნინო ისევე წარმატებით შეასრულებს შოპენსაც, როგორც დღეს მოცარტის ნაწარმოებები დაუკრა.

მუსიკათმცოდნეებმა, პედაგოგებმა ასე თუ ისე წარმოდგენა შეგვიქმნეს ნინო დანელიაზე. რას წარმოადგენს იგი მუსიკის სამყაროში. მაგრამ ბუნებრივია, გვაინტერესებდა როგორია იგი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში. იმ დღევანდელ კონცერტს მისი მასწავლებელი ... რთქმელიძეც ესწრებოდა. აღნიშნა, რომ ნინო კლასიკური გიმნაზ... ქუთაისის მე-9 საშუალო სკოლა) მეხუთე კლასის მოსწავლეა, ერთნაირად უყვარს ჰუმანიტარული საგნებიც და მათემატიკაც. კარგად უხამებს კლასგარეშე ლიტერატურიდან ამოკითხულს საკლასო პროგრამას. უყვარს და ეხერხება ქსოვა, კერვა...

ბევრი, ძალიან ბევრი სიხარული და ყვავილები იყო იმ დღეს ქუთაისის ოპერის თეატრში. ულოცავდნენ სოლისტის წარმატებას მის მასწავლებლებს.

წარმატებას ვუსურვებთ ნიჭიერ გოგონას და დიდ მადლობას ვუხდით შემოქმედებითი საწარმოო ფირმა „იმერეთის" ხელმძღვანელობას კარგი ღონისძიების კარგი სპონსორობისათვის.

**რუბენ ფერაძე**



# აბიტურიენტთა საყურადღებოდ

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოს, სამართლისა და ფსიქოლოგიის ინსტიტუტებთან არსებული თბილისის ჰუმანიტარული ინსტიტუტის მიმღები კომისია იმ აბიტურიენტების საყურადღებოდ, რომლებსაც განზრახული აქვთ ზემოაღნიშნულ ინსტიტუტში მისაღები გამოცდების ჩაბარება, გაცნობებთ, რომ გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელის" მ/წლის 16 ივლისის ნომერში ინსტიტუტის მიერ საბუთების მიღების ვადების თაობაზე გამოქვეყნებულ განცხადებაში დაშვებულ... შეცდომა.

ამასთან დაკავშირებით აღვნიშნავთ, რომ ინსტიტუტში საბუთების მიღება წარმოებს 15 ივლისიდან 22 ივლისის ჩათვლით, ყოველდღე, გარდა კვირისა, 11 საათიდან 16 საათამდე.

**ინსტიტუტის მისამართია:** ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 34 ა, ტელ. 39-59-64. მისაღები გამოცდები დაიწყება 24 ივლისიდან.

**ინსტიტუტის მიმღები კომისია.**

## ფოტოკონკურსი

## ბავშვები, ბუნება, მშვიდობა



შუქი წყვდიადში
ვალერი სულეიჩი (გროდნო, ბელორუსია)



ამაღლებული განწყობილება
მარინა უტიაშვილი (თბილისი)



მელოდია
ვლადიმერ ლოგაჩევი (მაგნიტოგორსკი)

## სპორტი

# მესხი



# ბრუნდება?..

**ქართული ფეხბურთის ქომაგს, კინორეჟისორს, ბატონ ლერი ხიხარულიძეს საუბარში ხშირად უთქვამს, რომ ქართულმა ფეხბურთმა ორი დიდი ვარსკვლავი დაკარგა. ორივე მათგანს, როგორც ბატონმა ლერიმ თქვა, მსოფლიო ფეხბურთის მწვერვალები უნდა დაეპყროთ, მაგრამ, სხვადასხვა მიზეზების გამო, ეს ასე არ მოხდა... მკითხველის ცნობისმოყვარეობა რომ დავაკმაყოფილო, ვიტყვი, რომ საუბარია კახი ასათიანსა და მიხეილ მესხზე (უმცროსი). სამწუხაროდ, ბატონი კახის (ამჟამად საქართველოს სპორტისა და ტურიზმის მინისტრის) ფეხბურთი არ მინახავს, თუმცა გადმოცემით ვიცი, რომ მის ინტელექტუალურ და ლამაზ თამაშს ალტაცებაში მოჰყავდა გულშემატკივარი. რაც შეეხება მიხეილ მესხს (უმცროსი), რომლის ყოველი გამოჩენა მოედანზე ხამუცნობიან განტოლებას წააგავდა, უნდა ითქვას, რომ დღესაც კი გაურკვეველია ჩემთვის, თუ რატომ ვერ ითამაშა მან დიდი ფეხბურთი, ისეთი ფეხბურთი, რომელსაც მამამისი — 60-იანი წლების მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მარცხენა გარემარბი, მიხეილ მესხი აჩვენებდა.**

**...ბუნებამ ისეთი საფეხბურთო ნიჭით დააჯილდოვა, რომ, მახსოვს მისი პირველი თამაშის შემხვედვარე, ბევრი იმახაც ამბობდა, პატარა მიშას მამაზე უკეთესი მომავალი ელოდებაო. კარგად მახსოვს მისი დებიუტი თბილისის „დინამოს" დუბლშემადგენლობაში, შემდეგ ძირითადში. წლები კი გადიოდა და მიხეილ მესხი არა და არ „გაიხსნა" ბოლომდე... როცა მეგონა, საუკეთესო ფორმაში იყო, მაშინ სათადარიგოთა სკამზე იჯდა, ან კიდევ პირიქით — ორი ტაიმი ისე გავიდოდა მოედანზე, ვერც შეამჩნევდით... ხმა გავარდებოდა — მიშა „დინამოდან" წავიდაო, მერე მობრუნდებოდა, ისევ „კონფლიქტი" და ამჟამად თავს სრულიად უცხო და დიდი ქალაქში ამოყოფდა, თუმცა, გული მაინც თბილისისკენ მოუწევდა; მის დაბრუნებას ზარზეიმითა და იმედით შეხვდებოდნენ, მაგრამ... ისევ სათადარიგოთა სკამზე ლოდინი; ახალი ხელმძღვანელობა „დინამოში" და კვლავ უხიამოვნება...**

●

მის მყუდრო ოჯახში შესვლისთანავე მამამისის უზარმაზარი პორტრეტი იპყრობს ყურადღებას... ალბათ, რომელიმე მეგობარი მხატვრის მიერ არის შესრულებული...

**...ჩვენ კი ვზივართ და ვსაუბრობთ. მახპინძელი ღიმილით იხსენებს თავის მიღწევებს კინოში, პირველ ნაბიჯებს ფეხბურთში...**

— ჩემი პირველი მასწავლებელი იყო მამაჩემი, რომელმაც იმდროისათვის ახალი საფეხბურთო სკოლა — „ავაზა" ჩამოაყალიბა. ძალიან ძლიერი შემადგენლობა გვყავდა, „ავაზას" არსებობის მანძილზე ალბათ, ყველაზე ძლიერი. სპორტის სასახლეში გამართულ შეჯიბრებებს მინიფეხბურთში ათასობით გულშემატკივარი ესწრებოდა. ბევრმა ჩვენგანმა შემდგომ, ასე თუ ისე, დიდ ფეხბურთშიც მოსინჯა ძალა — მერაბ ჟორდანიამ, ნუკრი კაკილაშვილმა, ვაჟა ჟვანიამ, ხვიჩა ქასრაშვილმა, ბესიკ ფრიდონაშვილმა... ბევრს კი საერთოდ გული აუცრუვდა. მაგრამ, ალბათ, სჯობია ბავშვობაშივე აგიცრუვდეს გული, ვიდრე შემდგომ...

— **კი, მაგრამ, რატომ, ალბათ, დროა, რომ გულახდილი დიალოგიც წარიმართოს ჩვენს შორის.**

— მაინც არა მწამს ჟურნალისტების. ერთს ეუბნები, შემდეგ კი გაზეთში სულ სხვა რამეს კითხულობ.

— **მაშინ ჩვენს ინტერვიუს აზრი აღარა აქვს...**

— არა, უბრალოდ, სიმართლე ყველას არ სიამოვნებს. ვიცი, ბევრს არ ესიამოვნება, რასაც ახლა გიამბობთ...

„დინამოში" 17 წლისა ამიყვანეს, მაგრამ ხელფასი არ დაუნიშნავთ. ექვსი თვე ისე გავიდა, დუბლებში ერთი მატჩიც არ მითამაშია. რამე შეკრება იქნებოდა, ჩემს გარდა ყველა მიდიოდა, ერთხელაც, გასვლითი თამაშების წინ, ერთ-ერთი მწვრთნელი მეუბნება, აუცილებლად ითამაშებო; ჩემს გარდა ყველამ ითამაშა იმ მატჩებში. თამაშის შემდეგ კი ისევ დამპირდა, ნუ გეშინია, თბილისში დაგაყენებთო... ჩამოვდივარ თბილისში, მხვდებიან ნათესავები, მეგობრები, გულშემატკივრები — რა ჰქენიო? დავამშვიდე ყველა და ვუთხარი, ცოტა ვარჯიში მაკლდა და თბილისში უსათუოდ გამოვალ-მეთქი. რა თქმა უნდა, ყველანი მოვიდნენ ჩემი თამაშის სანახავად, მაგრამ, საერთოდ, თადარიგშიც ვერ მოვხვდი... გამწარებული გუნდიდან გავიქეცი, ამას შემდგომ ისიც დაემატა, რომ სიყვითლე შემეყარა და 1981 წლამდე არც მივარჯიშია. იმ წელიწადს დუბლში [illegible]ვთამაშობდი, შესანიშნავი გუნდი გვყავდა, მაყურებელიც მრავლად ესწრებოდა და მჯეროდა, რომ მალე ვაჯობებდით უფროსთაობას.

— **მომდევნო წელს?**

— მომდევნო წელსაც იგივე განმეორდა — კვლავ უხელფასოდ ვთამაშობდი. ის კი არა, თურქეთში მიდიოდა გუნდი „სტანდარტთან" პირველი თამაშის შემდეგ და, როგორც ყოველთვის, ჩემი ადგილი არ აღმოჩნდა, არადა ვლადიმერ გუცაევს ტრავმა ჰქონდა, ხუთი-ექვსი კაცი სამხრეთ ამერიკაში იყო პირველ ნაკრებთან ერთად, დაახლოებით ამდენივე ოლიმპიურ და ახალგაზრდულ ნაკრებებში გამოიძახეს და ხალხი აკლდათ, მაგრამ, მაინც დამტოვეს. უცბათ კი მეუბნებიან, რომ ბელგიაში უნდა ითამაშოო. ხელფასიც დამინიშნეს და 2 დღეში საბუთებიც გამიფორმეს. ვიცოდი, რომ ვპირდებოდი, გარემარბი არა ჰყავდათ. მეტოქე ძლიერი იყო და ხელოვნურ თამაშგარეებსაც მეტად ოსტატურად იყენებდა. რაღაც უცნაური გრძნობა დამეუფლა, მოედანზე რომ გამოვედი — თან გახარებული, თან კიდევ არ მჯეროდა, ისე ვიყავი დაკომპლექსებული.

— **პარტნიორებმა არ შეგაწიეს თბილი სიტყვა?**

— საერთოდ, ფეხბურთელი ყველა ეგოისტია. ერთმა ისიც კი თქვა, ათი წელიწადია ვთამაშობ და ხანდახან თუ მაღირსებენ ტაშს, მაგას კი, ჯერ არ უთამაშია, და სტადიონი ინგრევა ოვაციებით, მაგას ბურთს აღარ მივაწვდიო... საწყალი, მამაჩემიც ასე არ იყო? აქვე, მინდა გავიხსენო, რაც დილომში ბაზის ძველმა ყარაულმა მიამბო: თურმე, ბალახს თიბავდა და, სრულიად შემთხვევით, ფეხბურთელების საუბრისთვის მოუკრავს ყური — „მესხს პასს ნუ აძლევთ, ან ისე მიაწოდე, ველარ დაეწიოსო"... აბა, რაზე არის აქ ლაპარაკი?

— **და ამას შენც გრძნობდი?**

— იყო მასეთი ტენდენცია... ათი წელიწადი ვითამაშე „დინამოში" და არასდროს სრულუფლებიან წევრად არ მიგრძვნია თავი.

— **დავიჯერო, რომ არავინ იყო ისეთი პარტნიორი, ვისთანაც თამაში სიამოვნებას განიჭებდა და გიგებდა?**

— იყო — გრიგოლ ცაავა, რომელმაც ჩემზე უკეთ იცოდა, თუ რა მინდოდა, ან რა ადგილი უნდა დამეკავებინა.

— **მიშას მძიმე ხასიათი ჰქონდაო, პირდაპირი იყოო, მართალია?**

— აბა, იმას ხომ არ იტყოდნენ, ფეხბურთის თამაში არ იცისო. ძირითად შემადგენლობაში რომ არ მაყენებდნენ, რაღაც ხომ უნდა ეთქვათ, მერე მოიგონეს — უკვე ველარ თამაშობსო; ერთი პერიოდი სიცხეს მაძლევდა ნერვული სტრესის გამო — ძირითადში რომ არ მათამაშებდნენ. ერთხელ ცეკაში დაგვიბარეს და სიმართლე ვთქვი, გუნდის ხელმძღვანელობა კი გადამეკიდა... მაინც ვგრძნობდი, რომ ჩემს იქით გზა არა ჰქონდათ, რადგან იმ პერიოდში ყველაზე ძლიერი ფორვარდი ვიყავი. ასე გრძელდებ-

● გაგრძელება; დასაწყისი იხ. № 66, 68, 69, 73, 74, 76, 79.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოდა წელიწადნახევარი, სანამ იმ „გადაკიდებული“ მწვრთნელის მაგივრად ისევ ძველი ხელმძღვანელი არ დაგვიბრუნეს. თითქოს ყველაფერი კარგად აეწყო, მაგრამ ისევ უსიამოვნება, თანაც, ამ დროს კვლავ ცეკა-ში გვიბარებენ და შეგვპირდნენ, ყველას დაუთვლიდნენ მანქანებს და ნათესავების სამსახურებსაც შეამოწმებდნენ, რა დრო იყო, არა...

**— მიშა, „ზაპოროჟეცზე“ და უცხოურ მანქანებზე გახმაურებული ისტორია მაშინ იყო?**

— კი. დაგვიბარეს სპორტკომიტეტში და ჩვენთან ერთად მყოფ ვეტერან ქართველ ფეხბურთელებს უსაშინლესი სიტყვებით მიმართეს. მერე, ჩვენ მოგვდეს შარი, ვითომ ყველაზე ძვირადღირებული უცხოური მანქანებით ვსეირნობდით. არადა, გუნდში სამს გვყავდა უცხოური მანქანა — მე მყავდა 16 წლის „ტოიოტა“, მერაბ ჟორდანიას — 13 წლის „ბმვ“ და რეზო ჩელებაძეს 5 წლის „ვოლვო“, თანაც, ყველა ეს მანქანა ბევრად იაფი ღირდა ჩვენებურ მანქანებთან შედარებით. მიკროფონთან მივედი და ვთქვი — თუ ფეხბურთელს შესაძლებლობა აქვს, ხომ სჯობია „მერსედესი“ ჰყავდეს, ვიდრე „ზაპოროჟეცით“ იაროს? ასეთი არც ფეხბურთში გამოდგება და არც კაცობაში-მეთქი. მთლიანობაში, სპექტაკლი ისე იყო დადგმული, როგორც თვითონ სჭირდებოდათ. იმას რა დამავიწყებს, ჩივაძეს საბუთი რომ მოსთხოვეს, მუხის იატაკი საიდან, რა სახსრებით დააგეო. ყველაფერ ამას მალე გუნდის ხელმძღვანელობის მოხსნაც მოჰყვა. თუმცა, მარტო სპორტკომიტეტი ვერ მოერეოდა — ცეკა და, პირადად, ერთი მინისტრი იყო დაინტერესებული... შემდეგ, თავიანთი კვალი რომ დაეფარათ, გუნდიდან რამდენიმე ფეხბურთელი გარიცხეს, მეც მათ შორის ამოვჩნდი.

●

შეიძლება სასაცილოდ მოეჩვენოს ზოგიერთ მკითხველს, მაგრამ იმ დროს ყველაფერი შეიძლებოდა მომხდარიყო. თითქმის უმეტეს შემთხვევაში გუნდის სასტარტო შემადგენლობას ზემდგომი ინსტანციები ადგენდნენ; ისინი წყვეტდნენ გუნდში ამა თუ იმ ფეხბურთელის ჩარიცხვასა და გაგდებას. თუკი ვინმე წინ აღუდგებოდა ზემდგომი ინსტანციების დიქტატს, ქართული ფეხბურთის წინაშე წინა წლებში ნაჩვენები ბრწყინვალე შედეგებისა და დამსახურების მიუხედავად, „თამაშგარე მდგომარეობაში“ უნდა აღმოჩენილიყო. რაც შეეხება მიხეილ მესხს, გულშემატკივარი კვლავ გაორებული იყო. 1986 წლის დამდეგს მშვენივრად აღებულ სტარტს კვლავ უღიმღამო ფინიში და, რაც მთავარია, „დინამოდან“ წასვლა მოჰყვა. მისი მომდევნო ნაბიჯი კი, მართლაც რომ უცნაური აღმოჩნდა — შემდეგ სეზონში მიხეილ მესხი მოსკოვის „სპარტაკის“ თავდამსხმელად მოგვევლინა.

— როცა ბესკოვის მიწვევით მოსკოვში ჩავედი, თავდაპირველად მან „ლოკომოტივში“ შემომთავაზა ძალების მოსინჯვა, მაგრამ კატეგორიული უარი განვაცხადე. ვთხოვე, ვიცი თქვენი მწვრთნელობის ალღო და ის ფეხბურთი მათამაშეთ, რაც შემიძლია მეთქი. ბაზაზე ვცხოვრობდი, მატერიალური პირობებიც განსაკუთრებული არაფერი წამომიყენებია. თამაშიც გამომდიოდა, მაგრამ გული მაინც თბილისისაკენ მომიწევდა. ორჯერ უცხოეთში წავიდნენ კომერციულ ტურნირებზე, მე კიდევ თბილისში ჩამოვედი, გაკვირვებულები მიყურებდნენ. ბესკოვი კმაყოფილი იყო, გულშემატკივრები დიდ პატივს მცემდნენ. ყველაზე მეტი ოვაციები თასაევის, ჩერენკოვის, როდიონოვისა და ჩემს მისამართით ისმოდა. ამ დროს კი მოითხოვდნენ საქართველოში დაბრუნდით. პირველ რიგში. ალბათ, იმიტომ, რომ რახან მოსკოვში კარგად ვთამაშობდი, თბილისიდან გასაშვები არ ვიყავი და ეშინოდათ, გულშემატკივრებს ჩემს დასაცავად ხმა არ აემაღლებინათ და მეორეც, უნდოდათ „დინამოს“ თავხმარებოდი. ოქროს კოშკებს მპირდებოდნენ. მაგრამ, სამწუხაროდ, ყველაფერი იმავე სცენარით წარიმართა. ზონინის დაპირებები რომ მახსენდება, მეცინება. 1988 წლის დამდეგს „დინამო“ სამჯერ წავიდა შეკრებაზე მოსამზადებელ პერიოდში და სამჯერვე უჩემოდ; ხან საბუთების გაფორმება დააგვიანეს, ხან საგარეო საქმეთა სამინისტროს დააბრალეს; მოკლედ, ჩამომიყვანეს თბილისში, რომ სპორტული ფორმა დამეკარგა, მე კი, მაინც, ვვარჯიშობდი...

**— იმავე წელიწადს „დინამოში“ ახალი ხელმძღვანელობა მოვიდა...**

— მერე რა, არაფერი შეცვლილა — ერთხელ ვითამაშე და მერე ორი თვე ძირითად შემადგენლობას აღარ გამაკარეს. ისევ ცეკა-ში დაგვიბარეს მთელი გუნდი და იქ ჩემზე საკმაო უკმაყოფილებაც გამოთქვეს. ავდექი და პირველ მდივანს ვთხოვე, შემდეგ სამ თამაშში მათამაშეთ და მერე ვნახოთ-მეთქი. მართლაც, იმ სამ თამაშში (ორი პირველობაზე, ერთი თასზე — კიშინიოვში) უდიდესი წვლილი შევიტანე. არადა, პატარა საქმე ხომ არ არის, ამდენ ხალხში პირველ მდივანს შეპირდე...

სხვათაშორის, წარუმატებლობის შემთხვევაში გუნდის მთელ ხელმძღვანელობას მოხსნა ემუქრებოდა... შემდეგ კი მოხდა ის, რასაც მიჩვეული ვიყავი — კვლავ სათადარიგოთა სკამზე აღმოვჩნდი. ავდექი და საერთოდ წავედი გუნდიდან. ვფიქრობდი, ლანჩხუთის „გურიაში“ გადავალ და შევეხმარები-მეთქი. ამ დროს კი „დინამოს“ ხელმძღვანელობას ჩემთვის დისკვალიფიკაციის მიცემა სურდა, თანაც, ვითომდა, ცეკა-ს დავალებით.

**— „გურიაში“ ხომ მაინც აღმოჩნდი?**

— ალბათ, იმიტომ, რომ ჩემი სიმართლე დავამტკიცე. წერილი მივწერე პატიაშვილს, სადაც გავახსენე ის სამი თამაში, თანაც ვწერდი, რომ „დინამოს“ ხელმძღვანელობა მისი სახელით აპირებდა დისკვალიფიკაციის მოცემას. წაუკითხია წერილი პატიაშვილს და უთქვამს, რა გინდათ, მართალია ეგ ბიჭი და წავიდეს „გურიაშიო“. თუმცა, იქაც სავალალო სურათი დამხვდა — ისეთი ინფორმაცია ჰქონდა მიხეილ ფომენკოს (**მაშინდელ უფროს მწვრთნელს — გ. ტ.**), რომ თითქოს მეორე დღესვე მოვხსნიდი მას და მე ჩავიბარებდი „გურიას“. არ ვიცი, რა მანქანა მუშაობდა ასეთი, რა უნდოდათ, ვერ გავიგე. ისეთი მაფია მოქმედებდა, რომ კინოებში არ მინახავს. მოკლედ, გადამკიდეს ფომენკოც, რომელსაც, ჩემს გარდა, არავისთან უსიამოვნება არ მოსვლია. გადის 3-4 თვე და ფომენკომ სალაში „გამიძვირა“, თუმცა, ვხვდებოდი, რომ გადამწყვეტი შეხვედრებისათვის ვპირდებოდი. მაგალითად, მატჩი ვოლგოგრადში „როტორთან“, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და წინდაწინ ვიცოდი, რომ ამ თამაშში დამაყენებდნენ. მაგრამ, რა — მატჩი მთავრდება, „გურია“ აგებს, მე კი სათადარიგოთა სკამზე ვზივარ... ბოლოს ავდექი და, რომ იტყვიან, ძალით გავედი მოედანზე და გოლიც გავაკეთე. ვიმეორებ, ფომენკო ვიღაცისაგან იყო შთაგონებული — არადა, უნდა დაეთმო ჩემნაირი ფეხბურთელისათვის, ქულები მომქონდა; ბოლოს მაინც წამოვედი... თუმცა, ლანჩხუთიდან მაინც განსაკუთრებული სითბო გამომყვა.

**— შარშან პატარა ცნობამ გაიელვა რომელიღაც გაზეთში, თითქოს მიხეილ მესხი კონტრაქტით ისრაელს გაემგზავრაო...**

— კი, ვეტერან ფეხბურთელთა კავშირისა და, პირადად, ბატონ კახი ასათიანის დახმარებით ტელავივის „აპოელში“ ვაპირებდი თამაშს არცთუ ურიგო კონტრაქტით (თვეში 3000 დოლარი, მოგებაზე — 600 , ფრეზე — 200). ყველაფერი ძალაში იქნებოდა, თუ კოლოსკოვთან საერთო ენას გამოვნახავდი, მაგრამ ამ დროს პოლიტიკური სიტუაცია ისრაელში ისე გამწვავდა, რომ ჩემთან ერთად სხვა საბჭოთა ფეხბურთელებმაც დატოვეს ეს ქვეყანა. დაბრუნებულს ეროვნულ ჩემპიონატში მინდოდა მეთამაშა, კერძოდ, „იბერიაში“, დამპირდა კიდეც კლუბის ხელმძღვანელობა, მაგრამ ბოლო მომენტში არც მე და არც მერაბ ჟორდანია განაცხადში არ შეგვიყვანეს.

**— მიზეზი?**

— არ ვიცი, დავას ხომ არ დავუწყებდით... ისრაელში ვერ მივდიოდი, სხვა ქვეყნიდან მოწვევა არ ჩანდა და რომც ყოფილიყო, კოლოსკოვისაგან ასი პროცენტი გარანტია არა მქონდა. შემდეგ, ცოტა ხნით, ბოლნისის „სიონში“ ვითამაშე, მაგრამ მივხვდი, რომ ეს ჩემი ლიგა არ იყო.

**— აი, ამდენი ხანია ვზივართ და ვსაუბრობთ, მაგრამ ბევრი რამ ჩემთვის გაურკვეველია. ნუთუ არ შეგხვდა მწვრთნელი, რომელიც გაგიგებდა და ან შენ პირველობაზე თვალს დახუჭავდა?**

— არა, არ შემხვედრია, უბრალოდ რომ მომფერებოდა მაინც. ვიღაცა ან რაღაცა მუშაობდა ჩემს წინააღმდეგ. თანაც — კომუნისტებს ვლანძღავდი. ერთხელ წითელი კუთხე დავჩხაპნე, პარტორგანიზაციის კრებებზე კი ვმაყვირობდი და კომუნისტებს დავცინოდი...

**— მამაშენის რეაქცია როგორი იყო?**

— სულ იმას გაიძახოდა — არცერთი ანდრო ჟორდანიას არ შეგხვდაო... უთქმელი კაცი იყო, ძალიან განიცდიდა ყველაფერს. სტადიონზე ვხედავდი ხოლმე, მაგრამ ერთხელაც არ ყოფილა ბაზაზე, როცა „დინამოში“ ვთამაშობდი. აქვე დავამატებდი, რომ მამაჩემის გვერდით მინდა მოვიხსენიო ისინი, ვინც გვერდში მედგა ყოველთვის და უმათოდ უფრო გამიჭირდებოდა. ისინი გულშემატკივრები არიან, რომლებსაც მიაჩნდათ და არც მიმალავდნენ, რომ მე ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურა ვიყავი არა მარტო ჩვენთან, არამედ მსოფლიოშიც...

**— მიშა, როგორ ფიქრობ, შეძლებ თამაშს?**

— შევძლებ? კი არ შევძლებ, უნდა ვითამაშო კიდეც. უკვე მქონდა საუბარი რუსთავის „გორდას“ უფროს მწვრთნელთან გივი ნოდიასთან, თან ბიჭებსაც თითქმის ყველას ვიცნობ და ალბათ, III ეროვნულ ჩემპიონატში გამოვალ კიდეც მწვანე მინდორზე.

**—?!**

— საწყალი მამაჩემი რომ ეროვნული სტადიონის ცენტრში დაასვენეს და ხალხმა დასჭექა — მესხი! მესხი!, ცრემლები მომაწვა, და საკუთარ თავს ვუთხარი — ცოცხალ მიშა მესხზე კიდევ უხდა გაახებინოთ-მეთქი; არ მინდოდა, რომ მიშა მესხს საბოლოოდ დამშვიდობებოდნენ, მე კიდევ გავაგრძელებ მესხის გვარის ტრადიციას; მჯერა მომავლის, ბევრ რამეს შევძლებ...

**— ღმერთმა ხელი მოგიმართოს და არც მე მეპარება ეჭვი შენს ნიჭში, მაგრამ, როგორ მოახერხებ, შენ ხომ „ავაზას“ საფეხბურთო სკოლის დირექტორად მუშაობ, მამაშენის ადგილზე.**

— ეს იქნება პრესტიჟი სკოლისათვის. ბავშვი რომ დაინახავს, თუ როგორ თამაშობს სკოლის დირექტორი, ხედავს როგორ ჯაბნის მცველებს, ადგება და ჩვენს სკოლაში მოვა. თუმცა, ამას შეიძლება საფეხბურთო სკოლა დავუძახოთ?.. საწყალი მამაჩემი, ამაზე ნერვიულობამ იმსხვერპლა... არ არის (არ ვლაპარაკობ სამ-ოთხზე) ერთი მაინც ნორმალური, ბალახიანი მინდორი, წყალი ხან მდუღარეა, ხან ცივი; რა გამოვა — ყრია ღორღი, ქვები და შენ იქ ბავშვს ფინტს ასწავლი? არა, ეს სკოლა არ არის. ისე კი, მამაჩემის სახელი დაარქვეს. არადა, ვიღაცის სახელს რომ არქმევ, რაღაცა ხომ უნდა იყოს. თანამშრომლებმა მოითხოვეს, თორემ სკოლის დირექტორობა არც მიფიქრია. წავიდა ის დრო, ნაძალადევში ჰინჩის ბურთს რომ აგორებდნენ და მერე დიდ ფეხბურთს თამაშობდნენ.

**— კონკრეტული დახმარება თუ ჩანს საიდანმე?**

— არავისთვის არ მიმიმართავს, მაგრამ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ბატონმა აკაკი ასათიანმა აღმითქვა დახმარება. ვიცი, რომ ცხოვრება მაგ სკოლას უნდა შევწირო. მჯერა, ნიჭიერი თაობა არ გამოილევა. ის, რაც მამაჩემმა ბოლომდე ვერ მიიყვანა, მე გავაკეთებ...

ესაუბრა

**გია ტუხაშვილი.**

**ვარლამ ბენზიურის ფოტო.**

**სპორტი**

# სხვა გაზეთებიდან

### ქალურ ცხოვრებას — ქალის საპონი

„1991 წლის თებერვალში ჩვენს უძველეს ქალაქ დერბენტში გასაყიდად შემოიტანეს ინგლისური წარმოების სასიამოვნო სუნის თეთრი საპონი. ჩვენ ის ასევე სიამოვნებით შევიძინეთ. მაგრამ, მას შემდეგ, რაც მეზობლის ქალმა წაიკითხა და გვითარგმნა საპნის წარწერა: „ქალების დასაბანი“, ცოტა გუნება წაგვიხდა. როგორც ჩანს, ჩვენს საზღვარგარეთელ მეგობრებს მიაჩნიათ, რომ ჩვენს მართლაც ქალურ ცხოვრებას საპონიც ქალისა მოუხდება“. — წერს „არგუმენტი ი ფაკტის“ (№ 24) მე-9 გვერდზე დერბენტელი მ. რ.

### მოვუხმოთ თვითმფრინავების გამტაცებლებს

ტაშკენტელი მ. ბ. „არგუმენტი ი ფაკტის“ (№ 24) მე-9 გვერდის მეშვეობით მიმართავს თვითმფრინავების გამტაცებლებს: „გთხოვთ, გამოცხადდეთ რეისზე, რომლითაც მე მივფრინავ. თვითმფრინავის გატაცება ნებისმიერი მიმართულებით შეგიძლიათ, ოღონდ კი საზღვარგარეთი იყოს. მინდა, თვითმფრინავის სარკმლიდან მაინც შევავლო თვალი ადამიანურ ცხოვრებას“.

### საბჭოთა ექიმები გამოცდებს ვერ აბარებენ

საფრანგეთის „ფიგაროს“ ცნობით, ისრაელში საბჭოთა კავშირიდან ჩამოსულ იმიგრანტთა მნიშვნელოვანი ნაწილი კვალიფიციური სპეციალისტები (ექიმები, ადვოკატები, მუსიკოსები) არიან და ძირითადად იმ პროფესიების მატარებელ ადამიანთა რიგებს ავსებენ, რომლებიც იქ ისედაც ჭარბადაა. ასე მაგალითად, გასულ წელს ისრაელში, რომელსაც უკვე 22 ათასი ექიმი ჰყავდა (რაც ერთ სულ მოსახლეზე ექიმთა რაოდენობის მიხედვით შვეიცარიის შემდეგ მეორე ადგილია), საბჭოთა კავშირიდან კიდევ 6 ათასი ექიმი ჩავიდა. სხვათა შორის, საბჭოთა ექიმებს ისრაელში განსაკუთრებით მკაცრ გამოცდებს უწყობენ და შედეგიც სახეზეა — მათი 70% განთესვის კანდიდატი ხდება.

### როცა დედა ინფიცირებულია

იუპის სააგენტოს (აშშ) ცნობით, შიდსით დაავადებული დედების 373 ბავშვის გამოკვლევამ აჩვენა, რომ დაბადებიდან 18 თვის შემდეგ ბავშვთა მხოლოდ 13% აღმოჩნდა ინფიცირებული. ექიმებმა ვერ დაადგინეს, თუ როდის ხდება ინფიცირება — ორსულობის თუ მშობიარობის დროს. თუმცა სინდრომის ადრეული განვითარება მაინც უფრო ფეხმძიმობის დროს ინფიცირებაზე მიანიშნებს.

## განცხადებები

ასოციაცია „ინტექსის“ სავაჭრო-წარმოებითი საწარმო „საქწიგნი-ეგრისი“ აცხადებს ხელმოწერას ბულგარელი ავტორების წიგნზე „ყოველთვის ლამაზი“.

წიგნი განკუთვნილია მხოლოდ ქალებისათვის. მასში მკითხველი გაეცნობა თანამედროვე კოსმეტოლოგიის საფუძვლებს, მიიღებს უამრავ სასარგებლო რჩევასა და რეკომენდაციას ახალგაზრდობის, სილამაზისა და გარეგნული მიმზიდველობის შესანარჩუნებლად.

აბონემენტების შეძენა და წიგნების გაყიდვა იწარმოებს თბილისში — მეტროს სადგურის „ახმეტელის თეატრი“ ტერიტორიაზე მდებარე ჯიხურში, აგრეთვე გორში, ხაშურში, ზესტაფონში, ჭიათურაში, ხონში, ხარაგაულში, თელავში, გურჯაანში, საგარეჯოში, ბოლნისში, ჩოხატაურსა და ოზურგეთში — კოოპერატივ „წყარო-3“-ის სპეციალიზირებულ მაღაზიებში.

წიგნი გამოვა 1991 წლის ბოლომდე. ტირაჟი — მხოლოდ 40000 ეგზემპლარია.

---

თბილისის შრომის ბირჟა სასტუმრო „აჭარის“ რესტორანში სამუშაოდ იწვევს მიმტანებს. შრომის ანაზღაურება გამომუშავებითია. პირებისათვის, რომლებსაც სურვილი აქვთ დაეუფლონ მიმტანის სპეციალობას, ადგილზე გახსნილია მოსამზადებელი კურსები. კურსებზე ჩარიცხული პირები მიიღებენ შესაბამის სტიპენდიას.

ორგანიზაციის მისამართია: **კონსტიტუციის მოედანი, № 1, ტელ. 36-98-44, 36-58-14.**

**ბირჟის მისამართია: მისასვლელი სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიიდან და გმირთა მოედნიდან. ტელ. 36-18-06.**

---

თბილისის შრომის ბირჟა მცირე საწარმო „მედკომპლექსში“ სამუშაოდ იწვევს კვალიფიციურ მკერავებს. შრომის ანაზღაურება გამომუშავებითია.

ორგანიზაციის მისამართია: ჟორესის ქ. № 9, ტელ. 38-78-51, 37-61-28.

**ცენტრის მისამართია:** ზ. რუხაძის ქ. № 3, მისასვლელი სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიიდან და გმირთა მოედნიდან. ტ. 36-18-06 .

---

ბათუმის გაძლიერებული სწავლების ფასიანი საშუალო სკოლა 1991-1992 სასწავლო წლისათვის აცხადებს მოსწავლეთა მიღებას X-XI კლასებში:

1. ჰუმანიტარულზე;
2. ფიზიკა-მათემატიკურზე;
3. ქიმია-ბიოლოგიურზე.

სწავლება ფასიანია, სწავლის საფასური წელიწადში 3000 მანეთია. მოსწავლეთა ჩარიცხვა მოხდება გამოცდის გარეშე გასაუბრებით.

სკოლაში ჩარიცხვის მსურველი სათანადო უნარისა და ცოდნის შესამოწმებლად დაიშვება თუ გადაიხდის ამ მიზნისათვის დაწესებულ თანხას 20 მანეთს და განცხადებასთან ერთად შემოიტანს:

1. 9 კლასის დამთავრების მოწმობა (დედანი).
2. XI კლასის მოსწავლეები X კლასის დამთავრების ცნობა და პირადი საქმე;
3. დაბადების მოწმობა (დედანი);
4. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან.
5. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ.
6. ორი ფოტოსურათი (3X4).

ობოლი, მშობელთა მზრუნველობას მოკლებული, სტიქიით დაზარალებული, მრავალშვილიანი ოჯახების ის მოსწავლეები, რომლებსაც აქვთ 9 კლასის დამთავრების წარჩინების მოწმობა და ისწავლიან წარჩინებით, სწავლის ქირა გაუნახევრდებათ.

სკოლის იმ კურსდამთავრებულებს, რომლებიც უწყვეტად ისწავლიან აღნიშნულ სკოლაში და მაღალი აკადემიური მოსწრებით დაამთავრებენ, სურვილის შემთხვევაში, უგამოცდოდ, გასაუბრების გარეშე ჩაირიცხებიან გონიოს კოოპერაციულ ინსტიტუტში შესაბამის ფაკულტეტზე.

განცხადებები მიიღება 17 ივლისიდან 1 სექტემბრამდე, ყოველდღე 10-დან 18 საათამდე (გარდა კვირა დღისა).

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეგიძლიათ მიმღებ კომისიაში.

**შემდეგ მისამართზე:** ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. № 3

**მიმღები კომისია.**

**განცხადებები**

# აღორძინება — არგო

გვერდის სპონსორები არიან საქველმოქმედო ასოციაცია „აღორძინება“ და ამავე ასოციაციის ფირმა „არგო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საბროკერო ფირმა

# «ბროკერი ამ»

## საბაზრო ეკონომიკის ლიდერის, რუსეთის სასაქონლო-ნედლეულის ბირჟის წამყვანი ფირმაა.

**“ბროკერი ამ“ წარმოებებს, სახელმწიფო ორგანიზაციებს, კოოპერატივებს, მცირე საწარმოებსა და ყველა იურიდიულ პირს დაეხმარება რუსეთის სასაქონლო-ნედლეულის ბირჟაზე შეიძინონ ფართო ასორტიმენტის საქონელი, კერძოდ:**

- აგრარული კომპლექსის პროდუქცია; სასუქი;
- სასოფლო სამეურნეო ხელსაწყოები და მოწყობილობები;
- კვების პროდუქტები; მარცვლეული;
- ალკოჰოლური და თამბაქოს ნაწარმი;
- ელექტრო და საოჯახო საქონელი; ჭურჭელი;
- ქსოვილები, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ბეწვეული;
- სპორტული ინვენტარი;
- საყოფაცხოვრებო ქიმიური და პარფიუმერული პროდუქცია;
- სამედიცინო ნედლეული; მედიკამენტები;
- სამედიცინო ხელსაწყოები და მოწყობილობები;
- კომპიუტერები (პრინტერები, სკანერები, პლოტერები, მონიტორები, მოდემები);
- ახლის გადასალები აპარატურა;
- ტელეფაქსები და ტელეფონები;
- ტიპოგრაფიული მოწყობილობები;
- აუდიო და ვიდეოტექნიკა;
- ლითონები; ხე-ტყის მასალა; ქაღალდი;
- საამშენებლო მასალა: ცემენტი, ხრეში, რკინა-ბეტონი, აგური, ფილები სანტექნიკა;
- ასაწყობი ნაგებობები და კონსტრუქციები;
- საღებავები და მოსაპირკეთებელი მასალები;
- ნავთობპროდუქტები; ქვანახშირი; ქიმია;
- დაზგები; მოწყობილობები; ქარხნები;
- ავტომობილები; ტრანსპორტი;
- საამშენებლო და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა;
- თვითმფრინავები, ვერტმფრენები, გემები;
- უძრავი ქონება;
- ტექნოლოგიები;
- პროექტები.

სრული ინფორმაციის მიღება შეგიძლიათ ფირმა “ბროკერი ამ“-ის საქართველოს წარმომადგენლობაში.

380086, თბილისი, ნუცუბიძის ქ. 187ა.
ტელ. 31-27-60.
ტელეფაქსი 8832-312760.

---

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა და ახალი ეკონომიკური სტრუქტურების — სავაჭრო და საფონდო ბირჟების, საბროკერო კანტორების, მცირე საწარმოების ჩამოყალიბება მოითხოვს შესაბამის საბანკო მომსახურებას. ამ მიზნით შეიქმნა სააქციონერო-კომერციული ბანკი **„კავკასიის ბანკი“**, რომელიც სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციებსა და საწარმოებს, სააქციონერო საზოგადოებებს, ერთობლივ და მცირე საწარმოებს, საბროკერო ფირმებსა და სადილერო კანტორებს, აგრეთვე მცირე და საშუალო ბიზნესის სხვა სახის წამოწყებებს სთავაზობს:

— საანგარიშსწორებო და საკასო მომსახურებას;
— მოკლე და გრძელვადიან სესხებს;
— მყიდველი (შემკვეთი) ორგანიზაციებისათვის წარდგენილი საგადასახადო მოთხოვნათა განაღდებას (ფაქტორინგი);
— მოწყობილობის და სატრანსპორტო საშუალებათა შეძენას და მათ გადაცემას იჯარით (ლიზინგი);
— ურთიერთგარიგების საფუძველზე თავისუფალი ფულადი სახსრების დეპოზიტების სახით ბანკში მოზიდვას და სხვა საბანკო მომსახურების გაწევას. ამასთან, სხვა კომერციული ბანკებისაგან განსხვავებით, **„კავკასიის ბანკი“** მოემსახურება სააქციო საზოგადოება **„კავკასიის ბირჟის“** საბროკერო ფირმებს.

მ ი ს ა მ ა რ თ ი: 380086, თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი №72. ოთახი № ა-110, ტელეფონი 38-46-90.

---

## გიწვევთ დასასვენებლად!

ტურისტული კოოპერატივი **„ქრიზანთემა“** გთავაზობთ საგზურებს ციხისძირის, ჩაქვისა და მწვანე კონცხის ტურისტულ ბაზებში. საგზურების ღირებულებაა: 20 დღით — 465 მან, 15 დღით — 355 მან.

საგზურების შეძენა შეუძლიათ როგორც ორგანიზაციებს, ასევე კერძო პირებს ნაღდ ანგარიშზე ან გადარიცხვით.

დამატებითი ცნობებისათვის შეგიძლიათ დარეკოთ თბილისში შემდეგ ტელეფონზე 31-47-76 (3 სთ-დან 1 სთ-მდე).

საგზურების შეძენა კი შეგიძლიათ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, პრავდის ქ. №67 (ყოველდღე შაბათისა და კვირის გარდა 16 სთ-დან 18 სთ-მდე).

საგზურების შეძენა შეგიძლიათ აგრეთვე შემდეგ მისამართზეც: ქობულეთის რაიონი, დაბა ჩაქვი, ბათუმის ქ. №24.

კოოპერატივი **„ქრიზანთემა“**.
ტელეფონი 74-8-70.

---

**ფირმა „თორი“-ს სამედიცინო ფილიალი (მდებარე ა.ჭავჭავაძის №2-ში, მე-13 პოლიკლინიკის ბაზაზე) დაინტერესებულ პირებს აცნობებს, რომ პაციენტების მიღება შარდ-სასქესო სისტემის მწვავე და ქრონიკული დაავადებების სამკურნალოდ დროებით (სექტემბრამდე) შეჩერებულია.**

---

საქართველოს მშვიდობის ფონდთან არსებულ მცირე საწარმო **„მეტა“**-ს ესაჭიროება
**მთავარი ბუღალტერი**
ცნობებისათვის დარეკეთ: 22-82-43
(20-დან 23 საათამდე)

---

მოვუვლი და ვუპატრონებ ავადმყოფს, ან მოხუცს, რომელიც ჩამწერს თავის ბინაში.
დარეკეთ ტელეფონზე: 93-36-58.
ქეთინო.

---

## იყიდება

ირლანდიური ტერიერის ლეკვები.
ტელ.: 51-25-27.

• • • • • •

საზღვარგარეთული სასმელების (კონიაკები და ვისკები) კოლექცია.
ტელ.: 38-16-66. გიორგი.

• • • • • •

მიკროავტობუსი "Toyota", 14 თვის.
დარეკეთ: 37-58-25.

• • • • • •

ტელევიზორი და ვიდეომაგნიტოფონი.
ფირმა "Goldstar" -ის.
ტელევიზორი: CKT-9745, PAL/SECAM-B/6,
დიამეტრი 51 სმ;
ვიდეომაგნიტოფონი GHV-1295 WQ;
კომპლექტის ფასი 22 000 მანეთი.
დარეკეთ: 66-85-83

• • • • • • •

ავტომობილი კაზ-4540 (კოლხიდა) მისაბმელით, დიზელის ძრავით.
ტრაქტორი ტ-16.
ცნობებისათვის დარეკეთ საღამოს საათებში ტელეფონზე 39-02-98.

---

ახალგაზრდა ივერიელი
Общественно-политическая газета

ტელეფონები: მხარეები — 98-97-31;
პასუხისმგებელი მდივანი — 98-31-56;
წერილების განყოფილება — 99-00-49.

გაზეთი გამოდის კვირაში სამჯერ სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბა თბილისი, მ. კოსტავას 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში ნომერაული 29.
1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15.
НАШ ИНДЕКС 66400

რედაქტორი
მერაბ ბალარჯიშვილი

რედაქციის მისამართია
ქ. თბილისი — 380096
მ. კოსტავას ქ. № 14.